ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 21 – 22 დეკემბერი, 2019

№302 (8256)

ფასი: 60 თეთრი

„აშშ-მა „ოცნებას“ ბოლო გაფრთხილება მისცა, მას ბოლო შანსი აქვს, კატასტროფულად არ დაამთავროს“

ბათუ ქუთელია: „აშშ-ის ახალმა ელჩმა თქვა, რომ კარიერის ყველა ეტაპზე საქართველო მის ინტერესებში იყო“

გვ.3

17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები

ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი

ამირან გიგუაშვილი: „ცოტნე გამსახურდია სასიკვდილოდ გაიმეტეს“

გვ.2

ანა ჯაბაური: „ცოტნე გავიდა და მალე მოვალო, ეტყობა, ჭიშკართან ელოდნენ“





გვ.5

ვაჟა გაფრინდაშვილს ცხინვალმა 1 წელი და 9 თვე მიუსაჯა

ალეკო ელისაშვილი: „ოცნებამ“ ქვეყანა სისხლის კალოდ გადააქცია“

გვ.3

„სახლთან, კოლხურ კოშკთან აკუწეს კაცი და ვერავინ ვერაფერი ვერ ნახა“

ვახტანგ მაისაია: „ამ მთავრობას ხრუშჩოვის მთავრობაც კი სჯობია“

გვ.4

გვ.4

ხაჯიმბამ და ბიბილოვმა ხალხს გაერთიანებისკენ მოუწოდეს

გვ.3

მამუკა გამყრელიძე: „შუაშისტების დრო მოვიდა“

„მათი პოზიცია 2020-ის არჩევნების ბედს გადაწყვეტს“

ვახტანგ გომელაური: „დიდი მადლობა იმ მოქალაქეს, რომელიც დაჭრილ პატრულს საავადმყოფომდე მიჰყვა“

გვ.2

„დიდი მადლობა ექიმებს, მედპერსონალს, ვინც გადაარჩინა ოთარ თავართქილაძე“

ISSN 1987-9385

2 თალაკვაძე: „ოპოზიციას მაქორიტარული მანდატების 50-მდე შემცირებას ვთავაზობთ“

5 პროკურატურამ მაღალჩინოსნების დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავა

2 გიგი უგულავა: „საკონსტიტუციოში ინიშნება ირაკლი შოთაძე“

6 ვირთხამ მამაკაცს საშობაოდ გადადებული მთელი ფული შეუჭამა

ამირან გიგუაშვილი: „ცოტნე გამსახურდია სასიკვდილოდ გაიმეტეს“

ანა ჯაბაური: „ცოტნე გავიდა და მალე მოვალო, ეტყობა, ჭიშკართან ელოდნენ“

ცოტნე გამსახურდიაზე თავდასხმის შემდეგ აქტიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

– შემთხვევის ადგილის დათვალიერებითაც იკვეთება ის, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი ჩხუბი. ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაიმეტეს ცოტნე გამსახურდია. ერთი რამ ფაქტია, რომ იქ იყო ორთაბრძოლა.

ამის შესახებ გამსახურდიების ოჯახის ადვოკატმა, ამირან გიგუაშვილმა ჟურნალისტებს საავადმყოფოში განუცხადა, სადაც ცოტნე გამსახურდია მკურნალობას გადის.

მისი თქმით, თავდასხმის ფაქტთან მიმართებით შესაძლოა, ბევრი ვერსია იყოს, თუმცა ვიდრე მტკიცებულებები არ იქნება, ვერც სამართალდამცავი ორგანოები გააკეთებენ კონკრეტულ შეფასებებს. ადვოკატი იმედოვნებს, რომ საქმეზე სიმართლე დადგინდება.

ამირან გიგუაშვილის თქმით, რამდენადაც მისთვისაა ცნობილი, ცოტნე გამსახურდიას პრობლემა არავისთან ჰქონია. ადვოკატი ამბობს, რომ მომხდარზე ვისაც შესაძლოა რაიმე ინფორმაცია გააჩნდეს, ან უკვე გამოიკითხა, ან მიმდინარეობს გამოკითხვა.

– გუშინ გვიან ღამემდე გრძელდებოდა გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები, რომელთაც მე და ოჯახის წევრი ვესწრებოდით. მათ შორის, დათვალიერდა სახლის პერიმეტრი, ანუ სახლის ეზოში არსებული ვიდეო-ჩანაწერები. მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები. გვაქვს კომუნიკაცია გამოძიების ხელმძღვანელ პირებთან. იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში გარკვეული შედეგები იქნება.

ვერსიებთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე, ვერაფერს გეტყვით არა იმიტომ, რომ არ გვაქვს ჩვენი გარკვეული ვერსიები და ამაზე მსჯელობები არ იყო, არამედ ხელი რომ არ შეეშალოს გამოძიებას. ვფიქრობ, ეს ყველას ინტერესშია, – განაცხადა ამირან გიგუაშვილმა.

კითხვაზე, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ცოტნე გამსახურდიაზე თავდასხმა 10 წლის წინანდელ ამბავს უკავშირდებოდეს, ადვოკატი პასუხობს, რომ დაზუსტებით ვერაფერს იტყვის, რადგან ყველა ვერსიას შესაძლოა ჰქონდეს არსებობის უფლება.

20 დეკემბერს კომენტარი ცოტნე გამსახურდიას მეუღლე ანა ჯაბაურმა გააკეთა.

მისი განცხადებით, მის მეუღლეს ბიზნესსაქმიანობაში განსაკუთრებული პრობლემები არ ჰქონია.

ანა ჯაბაურის ვარაუდით, თავდამსხმელები ცოტნე გამსახურდიას სახლის ჭიშკართან ელოდებოდნენ.

– წავიდა და მალე მოვალო, მითხრა. გავიდა თუ არა, მალევე მოხდა, როგორც მერე ვიანგარიშე დრო. გამოდის, რომ ელოდებოდნენ ჭიშკართან, იმიტომ, რომ ჭიშკართან იყო ყველა ნივთი მისიც, ეტყობა იბრძოდა, იმიტომ, რომ ჩხუბის კვალი იყო ჭიშკართან.

არაფერი განსაკუთრებული პრობლემები ბიზნესსაქმიანობასთან არ ჰქონდა. ქირასთან დაკავშირებით, არაფერი ისეთი პრობლემა არ ყოფილა, მოგვარებული იყო ყველაფერი, – განაცხადა ანა ჯაბაურმა.

20 დეკემბერსვე ანა ჯაბაური ამირან გიგუაშვილთან ერთად რჩეულიშვილის ქუჩაზე, პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

– ჩვენ ვიყავით ვერაზე, რჩეულიშვილის 32-ში არსებულ პოლიციის შენობაში. დაიკითხა ოჯახის წევრი, ცოტნეს მეუღლე, რომელმაც გამოძიებას მიაწოდა მის ხელთ არსებული ინფორმაცია, თუ როდის მივიდა ის სახლში, როდესაც მას ბოლოს ჰქონდა კომუნიკაცია ცოტნესთან.

მივაწოდეთ ყველა ის ინფორმაცია, რაც შეიძლებოდა ამ ეტაპზე გამოძიებისთვის საინტერესო ყოფილიყო, – განაცხადა ამირან გიგუაშვილმა.

შეგახსენებთ, ცოტნე გამსახურდია 19 დეკემბერს, საკუთარ სახლთან, ცივი იარაღით დაჭრეს. მას ორი ოპერაცია უკვე ჩაუტარდა.

პირველი ოპერაცია ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკის ექიმმა გიორგი გვახარიამ გააკეთა.

– პაციენტი კლინიკაში მოყვანილია სასწრაფო დახმარების მიერ. აღინიშნება პოლიტრავმა, ანუ მრავლობითი დაზიანებები. დაზიანებულია გულ-მკერდის მარცხენა ნახევარი, ამ მიდამოში აღინიშნება ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობები, გულ-მკერდის ღრუში შემავალი ჭრილობები, მარცხენა ფილტვის ზედა წილის დაზიანებით და ე.წ. ჰემოპნევმო-თორაქსი, ანუ პლევრის ღრუში სისხლის და ჰაერის არსებობით.

გარდა ამისა, აღენიშნება მარცხენა ბეჭის მიდამოში ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა ე.წ. აკრომიონის მორჩის დაზიანებით და თავის მიდამოში, თხემის მიდამოში ოთხი ჭრილობა, ნაკვეთი და დაჟეჟილი ჭრილობები, – აღნიშნა ექიმმა.

მისი თქმით, ჩატარდა თორაკოტომია, ანუ გაიხსნა გულ-მკერდის ღრუ.

– ჩავატარე შესაბამისი ოპერაცია. სისხლდენა გაჩერებულია. ახლა პაციენტი ჩამოყვანილია კომპიუტერული ტომოგრაფიის კაბინეტში, რადიოლოგიურ დეპარტამენტში, სადაც თავის ქალას კომპიუტერული ტომოგრაფია ჩაუტარდება. ინახება დაზიანების ხარისხი და ნეიროქირურგი გადაწყვეტს მისი მკურნალობის შემდეგ ტაქტიკას. საჭირო იქნება თუ არა კიდევ დამატებით ნეიროქირურგიული ოპერაცია. მდგომარეობა სერიოზული და მძიმეა, პოლიტრავმა მძიმე პათოლოგიაა, – განაცხადა ექიმმა.

ტომოგრაფიის შემდეგ ცოტნე გამსახურდიასთვის ნეიროქირურგიული ოპერაციის ჩატარება გადაწყდა, რომელიც 7 საათი გაგრძელდა.

– მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ჰემატომა ამოვიღეთ და თავის ტვინის მდგომარეობა, ასე თუ ისე, იყო დამაკმაყოფილებელი, მდგომარეობა მაინც რჩება მძიმე, – განაცხადა ოპერაციის შემდეგ ნეიროქირურგმა არჩილ ჯვარშეიშვილმა.

მისივე თქმით, გამორიცხული არ არის, ცოტნე გამსახურდიას კიდევ დასჭირდეს ოპერაციის ჩატარება როგორც თავზე, ასევე გულმკერდზე.

– პაციენტის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა: მრავლობითი ტრავმა გულმკერდის, მრავლობითი ტრავმა თავის ტვინის და თავის ქალის. ძალიან ბევრი ჰემატომა იყო თავის ქალის, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ, დაზიანებული იყო ქალა ტვინის ძვლები, შუბლის წილში და თხემის წილში.

7 საათი მოვუნდით ოპერაციას, ჰემატომები ამოღებულია. ტვინის მდგომარეობა, ტვინის რელაქსაცია, ოპერაციის ბოლოს, გემატომის მოშორების შემდეგ, იყო დამაკმაყოფილებელი. პაციენტი გადაყვანილია რეანიმაციაში, ხელოვნურ სუნთქვაზე, სადაც რამდენიმე დღე დარჩება.

რამდენიმე დღის განმავლობაში გამოიკვეთება, პროგნოზი როგორი იქნება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საფრთხე უკვე ჩაიარა. შესაძლოა, დასჭირდეს კიდევ ოპერაცია როგორც თავზე, ისე გულმკერდზე. ამას ყოველდღიური მონიტორინგი გვაჩვენებს.

რამდენიმე დღე ძილში გვეყოლება. ყოველდღიური მონიტორინგი იქნება კომპიუტერული ტომოგრაფიით და ყველაფრით, ყველა რესურსით, რაც კლინიკაში გვაქვს და ყველაფერი გვაქვს, რისი საჭიროებაც არის. დანარჩენი გამოჩნდება ყოველდღიური დაკვირვების რეჟიმში, – აღნიშნა არჩილ ჯვარშეიშვილმა.

მოგვიანებით ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კომენტარი ხეჩინაშვილის კლინიკის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ კვაჭაძემ გააკეთა.

– პაციენტის მდგომარეობა ამ წუთისთვის, დილასთან შედარებით, არ შეცვლილა. კვლავინდებურად მძიმე რჩება. გრძელდება მკურნალობა იგივე მოცულობით, რაც იყო დილით. გართულებას ამ ეტაპამდე ადგილი არ ჰქონია, – აღნიშნა ნიკოლოზ კვაჭაძემ.

თალაკვაძე: „ოპოზიციას მაჟორიტარული მანდატების 50-მდე შემცირებას ვთავაზობთ“

„ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციურ პარტიებს საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ახალი ინიციატივით მიმართა.

კერძოდ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ 20 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მათი ინიციატივაა, შემდეგი არჩევნები ჩატარდეს შერეული საარჩევნო სისტემით, რომელშიც 100 დეპუტატს პროპორციული წესით, 50-ს კი მაჟორიტარული წესით აირჩევენ.

– პოლიტიკურ სპექტრს ჩვენ ვთავაზობთ ინიციატივას, შევინარჩუნოთ მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემა, თუმცა 2/3-მდე გავზარდოთ ამ სისტემაში პროპორციული წილი. ამ ინიციატივაზე შეთანხმების შემთხვევაში, პროპორციული წესით ავირჩევთ 100 დეპუტატს, ნაცვლად 77-ის, ხოლო მაჟორიტარული მანდატები 50-მდე შემცირდება. შესაბამისად, იქნება 100 პროპორციული მანდატი მომავალ პარლამენტში და 50 მაჟორიტარული მანდატი, თუ ეს შეთანხმება შედგა, – განაცხადა თალაკვაძემ.

შეხვედრაზე ოპოზიციამ ხელისუფლების ეს წინადადება არ მიიღო.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებლის, ელიზაბეთ რუდის განცხადებით, ხელისუფლება და ოპოზიცია თანხმდებიან, რომ დიალოგის მაგიდას იანვარში დაუბრუნდებიან.

– მივესალმები იმ ფაქტს, რომ მმართველმა პარტიამ ახალი წინადადება წარადგინა მოლაპარაკებების მაგიდასთან. მხარეებმა განიხილეს შემოთავაზება, თუმცა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. თუმცა ყველა თანხმდება, რომ დიალოგს იანვარში დაუბრუნდებიან, – განაცხადა ელიზაბეთ რუდმა ხელისუფლებისა და ოპოზიციის მორიგი შეხვედრის შემდეგ.

ოთარ თავართქილაძის დაჭრისთვის გ.ჭ.-ს ბრალი წარუდგინეს

ბათუმში, პოლიციელის დაჭრაში ბრალდებულს ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს.

დაკავებული ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ ორი მუხლით მიმდინარეობს, 353-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით და ამავე კოდექსის 19,353-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით.

– გ.ჭ.-ს წარედგინა ბრალი პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფისა და პოლიციელის სიცოცხლის მოსპობის მცდელობის ფაქტებზე, ჩადენილი პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, – განაცხადეს პროკურატურაში.

გიგი უგულავა: „საკონსტიტუციოში ინიშნება ირაკლი შოთაძე“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის გიგი უგულავას ინფორმაციით, საკონსტიტუციო სასამართლოში ყოფილი მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე ინიშნება.

ამის შესახებ უგულავა სოციალურ ქსელში წერს.

„საკონსტიტუციო სასამართლოში, უზენაესის ქვოტით დანიშნულ მოსამართლე მაია კოპალეიშვილს გაუვიდა ვადა. ნიშნავენ მოხსნილ პროკურორ ირაკლი შოთაძეს, რომელიც ცოტა ხანში თავმჯდომარე გახდება“ – წერს უგულავა.

ერეკლე კუხიანიძეს კომისიის თავმჯდომარის პოსტი დაატოვებინეს

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დეპუტატმა ერეკლე კუხიანიძემ გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა.

თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრის ლევან ჟორჟოლიანის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ერეკლე კუხიანიძის მიერ სოციალურ ქსელში ვაჟა გაფრინდაშვილთან და მის ოჯახთან დაკავშირებით გაკეთებულმა განცხადებებმა განაპირობა.

ჟორჟოლიანის თქმით, კუხიანიძის განცხადებები გუნდისთვის დამაზიანებელი იყო.

– დღეს საკრებულომ ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ წაყენებული წინადადება ერეკლე კუხიანიძის გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის პოსტიდან გადაყენების თაობაზე დააკმაყოფილა.

ეს გამოწვეული იქნა ბატონი ერეკლეს მიერ გაკეთებული განცხადებებით, რომლებიც მან სოციალურ ქსელში გაავრცელა, ვაჟა გაფრინდაშვილის და მისი ოჯახის მიმართ.

ფრაქცია და ზოგადად უმრავლესობის აბსოლუტურად ყველა წევრი ფიქრობს, რომ მისი ამ განცხადებების შინაარსი და ფორმა არ იყო მისაღები და არასდროს არ იქნება მისაღები და ემიჯნება აბსოლუტურად ამ განცხადებებს. ვფიქრობთ, რომ ეს იყო ზოგადად გუნდისთვის დამაზიანებელი განცხადებები და ვფიქრობთ, რომ არა თუ პოლიტიკოსებმა, არამედ არც ერთმა მოქალაქემ არ უნდა მივცეთ თავს იმის უფლება, როდესაც საქართველოს მოქალაქე იმყოფება ტყვეობაში და ჩვენ ვნახეთ, რომ საოკუპაციო რეჟიმმა მიუსაჯა ვაჟა ექიმს ერთი წელი და ცხრა თვე პატიმრობა, ვისაუბროთ მსგავსი ენით, მსგავსი შინაარსით და არც მსგავსი ფორმით.

ამან გამოიწვია სწორედ ის გადაწყვეტილება, რაც დღეს მივიღეთ საკრებულოს სხდომაზე, პლუს მან დატოვა ასევე ფრაქცია. ჩვენ მანდატის დატოვებასთან დაკავშირებით განცხადება მისი მხრიდან არ გვაქვს და, როგორც ვიცი, არ აპირებს მანდატის დატოვებას, – განაცხადა ლევან ჟორჟოლიანმა.

ვახტანგ გომელაური: „დიდი მადლობა იმ მოქალაქეს, რომელიც დაჭრილ პატრულს საავადმყოფომდე მიჰყვა“

„დიდი მადლობა ექიმებს, მედპერსონალს, ვინც გადაარჩინა ოთარ თავართქილაძე“

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, მინისტრის პირველ მოადგილე კახა საბანაძესთან და აჭარის რეგიონის პოლიციის ხელმძღვანელებთან ერთად, ბათუმში დაჭრილი პატრულ-ინსპექტორი მოინახულა.

ვახტანგ გომელაურმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის, ოთარ თავართქილაძის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაცნობის შემდეგ კომენტარი გააკეთა.

– რამდენიმე დღის წინ მოხდა ჩვენი პოლიციელის დაჭრა. მოულოდნელად მოქალაქე აჩერებდა და ყელში მიაყენა 2 ჭრილობა, რომელიც ძალიან მძიმე ჭრილობები იყო. შემდეგ უკვე მეწყვილემ მოახერხა დამნაშავის ადგილზევე დაკავება.

ასევე ჩაერთო მოქალაქე, რომელიც მიეხმარა. დიდი მადლობა მინდა იმ მოქალაქეს გადავუხადო, რომელიც მიჰყვა საავადმყოფომდე და დიდი მადლობა ექიმებს, მედპერსონალს, ვინც ჩაერთო და გადაარჩინა ჩვენი პატრულ-ინსპექტორი.

ჯანმრთელად არის, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და ვფიქრობთ, რომ ძალიან მალე გამოვა სამსახურში, ჩაერთვება ისევ მუშაობაში.

ყველა პოლიციელს, პატრულის თანამშრომელი იქნება თუ კრიმინალური პოლიციის, ყოველდღე უწევს გასვლა და ასეთ შემთხვევებზე შესწრება. სახლიდან რომ გამოდიან, ნამდვილად არ იციან, დაბრუნდებიან თუ არა სახლში ცოცხალი ან ჯანმრთელი.

მინდა, რომ ყველამ პატივი ვცეთ ამ ადამიანებს. გმირები არიან ნამდვილად ჩვენი პოლიციელები, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შს მინისტრმა მინისტრის პირველ მოადგილე კახა საბანაძესთან და აჭარის რეგიონის პოლიციის ხელმძღვანელებთან ერთად, ბათუმში დაჭრილი პატრულ-ინსპექტორი მოინახულა.

ვახტანგ გომელაურმა ოთარ თავართქილაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ექიმებისგან პირადად მოისმინა.

საავადმყოფოში თანამშრომლის მონახულების შემდეგ, შს მინისტრი ოთარ თავართქილაძის მეწყვილეს, ავთანდილ მუავანაძეს შეხვდა.

მინისტრმა მომხდარი შემთხვევის დროს გამოვლენილი პროფესიონალიზმისა და ოპერატიული რეაგირების გამო, პატრულის თანამშრომელს მადლობა გადაუხადა.

მიმდინარე წლის 18 დეკემბერს, ბათუმში, მოქალაქემ საპატრულო ეკიპაჟის წევრები ოთარ თავართქილაძე და ავთანდილ მუავანაძე გააჩერა. მოულოდნელად აღნიშნულმა პირმა პატრულ-ინსპექტორ თავართქილაძეს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი პოლიციელის მეწყვილემ თავდამსხმელი შემთხვევის ადგილზევე დაიკავა.

დაკავებისას, ბრალდებულმა მუავანაძესაც მიაყენა ფეხის არეში მსუბუქი ჭრილობა.

აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელებმა, მოქალაქეების დახმარებით, დაჭრილი პატრულ-ინსპექტორი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

თანამშრომლების, მოქალაქეებისა და სამედიცინო პერსონალის დროული რეაგირების შედეგად, ოთარ თავართქილაძის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მამუკა გამყრელიძე: „შუაშისტების დრო მოვიდა“

„მათი პოზიცია 2020-ის არჩევნების ბედს გადაწყვეტს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, უმძიმესი ფონია ქვეყანაში. თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პროცესებთან დაკავშირებით?

– გეთანხმებით. ცუდი პროცესები ვითარდება. როდესაც მშვიდობიანი აქცია დაშალეს, მაშინ ვთქვი, რომ ესენი შევიდნენ ტერმინალურ ფაზაში და აუცილებლად შემდეგი ნაბიჯები იქნება პერსონალური დევნა, დაგვერევიან სათითაოდ ყველას და დაგვიწყებენ დევნას.

ისე აგიხდათ ყველაფერი, როგორც ეს მოხდა. ხელისუფლება ამ გზას გააგრძელებს. ეს არის კლასიკური გზა, დიქტატურის. ასეთ დროს იწყება ხოლმე დაშლა, შიგნით გუნდში. ვისაც ჰქონდა შანსი, რომ „დათესილიყო“, ისინი გაიქცნენ უკვე და დაუპირისპირდნენ. ხოლო ისინი, ვინც ისეთი დასვრილები არიან, რომ არსად წასვლის შანსი არა აქვთ, დაიტოვა ივანიშვილმა. ის ამ გუნდს მაქსიმალურად გამოაშრობს, დააპატარავებს და ამ გუნდით დაერევა ხალხს.

– დასავლეთის ზეწოლა ვერ იმოქმედებს?

– არავინ მითხრას, რომ დასავლეთი შეაშინებს! ან ფულს წაართმევენ და ასე შემდეგ. მაგისთვის ხელისუფლებაში დარჩენა ყოფნა-არყოფნის ტოლფასია. უდიდესი საფრთხე აქვს რუსეთიდანაც და საქართველოდანაც.

– ანუ არანაირ შეღავათებს არ ელოდებით, არანაირი დათმობა არ იქნება?

– არ იქნება არანაირი დათმობა.

– ურთულეს ფაზაში გადავედით. ყველა ღიად საუბრობს იმაზე, რომ კრიმინალი თარეშობს ქუჩებში.

– დიახ, ასეა. დაუსჯელობის სინდრომი გაჩნდა. ნამდვილად თარეშობს კრიმინალი.

– მეოთხე რაუნდი გაიმართა შეხვედრის. რა შედეგებს ელით ამ ყველაფრიდან?

– „ოცნება“ ცდილობს, მცირე კოსმეტიკური ცვლილებებით გავიდეს ფონს. ოპოზიციის მხრიდან უკვე ბევრი დათმობა იყო. სწორედ მათ შემოგვთავაზეს თავდაპირველად პროპორციულზე გადასვლა. შემდეგ გვითხრეს, აღარ გადავალთო, რის შემდეგაც შევთავაზეთ გერმანული მოდელი, რაც გამოსავალი იყო მათთვისაც და ჩვენთვისაც.

ჩვენ ამას ცალკე განვიხილავთო, გვითხრეს. დავთანხმდით. ნახეს, რომ მრავალმანდატიანი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. მერე კიდევ აიღეს ტაიმაუტი. უკვე უკანდახევის მეტი გზა აღარ აქვთ. ჩუგოშვილი რომ ჰყავთ, ახლად გამოჩეკილი „ოპოზიციონერი“, ვითომ ახლა რომ აეხილა თვალი 7 წლის მერე, იმანაც კი თქვა, რომ უკანდასახევი ნაბიჯები „ოცნებას“ აღარ დარჩა.

– ჩიხშია „ოცნება“?

– დიახ, ასეა. ან უნდა დაგვეთანხმონ, ან პირდაპირ უარი გვითხრან.

– რატომ, ხომ მოვიდნენ ახალი წინადადებებით?

– ახლა მათ დაიწყეს კოსმეტიკური ვარიანტების მოძებნა. ზრდიან პროპორციული დეპუტატების რაოდენობას, 100/50-ზეო და ა.შ.

პირდაპირ თქვა ხელისუფლებამ ამ შეკრებაზე, რომ რასაც თქვენ გვთავაზობთ, ამით ჩვენ დავმარცხდებითო. პროპორციული არჩევნების რანაირი სახეობაც არ უნდა იყოს, ჩვენ დავმარცხდებით და ეს არ გვაწყობსო. ეს თქვეს ელჩებთან ერთად და მათ თვალები გაუფართოვდათ, ეს რომ მოისმინეს.

– ეს შეხვედრა იყო მეოთხე რაუნდი. ყოველ ჯერზე უშედეგოდ სრულდება შეხვედრა.

– ასეც ნუ ვიტყვით. შედეგი არის. მარტო ის არის შედეგი, რომ მათ აღიარეს, რომ ამ არჩევნებს ეპოტინებიან. დასავლეთისათვის ყველაფერი ნათელი ხდება, ესენი სად მიდიან. ამას კი ჩვენთვის ძალიან დიდი მორალური უპირატესობა მოაქვს.

უკვე რაღაც პუნქტებზე, იგივე მრავალმანდატიან ოლქებზე თქვეს, რომ ეს არ არის ანტიკონსტიტუციური. ესეც შედეგია.

ან ყველაფერზე უარი უნდა თქვა, აუყირავო მაგიდა და ისევ ქუჩაში გავიდეთ, ან კიდევ დავტყუოთ რაც შეიძლება მეტი და და მოვუგოთ არჩევნებში.

– ალბათ, მეორე ვარიანტი უფრო კონსტრუქციულია.

– პირადად ჩემთვის მეორე ვარიანტი უფრო მისაღებია, მაგრამ სოციალურ ქსელს რომ გადახედავ, განსაკუთრებით ნაცმოძრაობის მომხრეები ძალიან რადიკალურები არიან. არ გამიკვირდება, რომ ნაციონალებს, შესაძლოა, შიშიც ჰქონდეთ საკუთარი ამომრჩევლის და არ წავიდნენ დათმობებზე.

იქნება დიდი ოპოზიციური შეხვედრა და ყველაფერი იქ შეჯერდება. ხელისუფლების ყველა წინადადებას ერთად ამ დიდ შეხვედრაზე განვიხილავთ.

– რას ელოდებით ხელისუფლებისგან?

– ხელისუფლებას სადღაც იანვრის ბოლომდე აქვს ვადა, რომ გამოაცხადოს ვადამდელი არჩევნები, რომელიც აპრილის ბოლოს დანიშნება.

– ამ ვარიანტსაც განიხილავთ?

– კი, ამ ვარიანტსაც აქტიურად განვიხილავთ. ახლა უკვე ისეთი მომენტია, რომ ვადამდელი არჩევნები ხელისუფლებას აწყობს და არა – ოპოზიციას.

შიგნიდან ისეთი გაურკვეველი პროცესები მიდის პარლამენტში, ვითომ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მაჟორიტარები და დანარჩენები, მოკლედ, აქედან გამომდინარე რაღაცას მოიფიქრებენ და ვადამდელს დანიშნავენ, რითაც უფრო შეამოკლებენ თავის რთულ პერიოდს.

აი, მერე უკვე დახარჯავენ ყველაფერს, თუ რამე გააჩნიათ, ფულსაც, ადმინისტრაციულ რესურსსაც, კრიმინალსაც ჩართავენ. დარწმუნებული ვარ, იქნება საშინელი ზეწოლა.

დასავლეთი ამ არჩევნებს ძალიან ცუდად მიიღებს, მაგრამ უკვე ესენი ისეთ ფაზაში არიან, რომ საერთოდ აღარ აინტერესებთ აღარაფერი! გადარჩენაზეა ლაპარაკი, ამიტომ პირადად მე ძალიან მეშინია იმ პროცესების, რომლებიც მომავალ წელს გველოდება.

– რას იტყვით ოპოზიციაზე? საუბარია, რომ შიგნითაც გიჭირთ შეთანხმება, რომ არ არის ერთსულოვნება. რა გეგმები აქვს ოპოზიციას?

– მე არ დავეთანხმები ამ შეფასებებს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი ერთსულოვნება და მშვიდი გარემოა საუბრების. 30 პარტიაა ამ საკითხის ირგვლივ გაერთიანებული, ეს არც ისე მარტივი რამეა. ძალიან მშვიდად ხდება ყველა საკითხის განხილვა, ნაბიჯების გაცვლა.

– ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ აგრესიულმა ქუჩის აქციებმა, სირბილმა, დაბოქლომებამ ოპოზიციას ამომრჩეველი დააკარგვინა. თქვენ რამდენად იზიარებთ ამ შეფასებებს?

– ეს დაბოქლომება არ იყო რადიკალური და აგრესიული. ეს იყო სიმბოლური. ჯოხს ორი ბოლო აქვს, ერთი მხარე, შუაშისტების, ისინი უფრო მშვიდები არიან და ისინი მოითხოვენ რაღაცა ურთიერთდათმობებს, კონსულტაციებს, მაგრამ არის მეორე მხარეც, რომელიც ითხოვს დუღილს, აფეთქებებს და უბედურებას.

რა უნდა ქნან ოპოზიციის ლიდერებმა? არ უნდათ რომ დაკარგონ არც ასეთი ამომრჩეველი და არც ისეთი. მე ვიტყოდი, რომ დღეს მაინც ამ შუაშისტების დრო მოვიდა.

– რატომ მოვიდა მათი დრო?

– 20-30%-ია ამ ხალხის, რომელიც არ არის ჩამოყალიბებული ჯერ, თუ ვის მისცემს ხმას, იმიტომ, რომ ეს პოლარიზება მათ ძალიან არ მოსწონთ, არც აქეთ და არც იქით. მათი გადაწყვეტილება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ამ არჩევნებზე. სრულიად შეცვლის სურათს. თუ საით გადაიხრება ეს ნაწილი, ეს იქნება უკიდურესად მნიშვნელოვანი! ამიტომ არავის დაკარგვა არ შეიძლება, არც ერთი ამომრჩევლის.

ამიტომ არის ოპოზიციის სიმრავლე ძალიან მნიშვნელოვანი, რომ აბსოლუტურად ყველას გემოვნება დააკმაყოფილოს და გაითვალისწინოს ამ ერთობამ. ეს მრავალფეროვნება და დიდი გაერთიანება მოქმედების დიდ ბიძგს აძლევს ოპოზიციას.

აქეთა მხარეს, ვგულისხმობ ხელისუფლებას, იქნება ძალიან ძლიერი რადიკალიზაცია და დაპირისპირება და უმძიმესი პერიოდი, რადგან „ოცნება“ არაფრის ფასად უკან არ დაიხევს.

ეს კი ყველაზე მეტად მაშინებს.

„აშშ-მა „ოცნებას“ ბოლო გაფრთხილება მისცა, მას ბოლო შანსი აქვს, კატასტროფულად არ დაამთავროს“

ბათუ ქუთელია: „აშშ-ის ახალმა ელჩმა თქვა, რომ კარიერის ყველა ეტაპზე საქართველო მის ინტერესებში იყო“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოში ამერიკის ელჩი კელი დეგნანი იქნება. მის კანდიდატურას მხარი უკვე დაუჭირა სენატმა. დეგნანი საქართველოში უახლოეს პერიოდში ჩამოვა და თავის ფუნქციებს შეუდგება. დეგნანის კარიერა შთამბეჭდავია. სხვადასხვა დროს უმუშავია ნატოში, იტალიაში იყო დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის მოადგილე და ამავე დროს იყო ავღანეთში ამერიკული საბრძოლო ბრიგადის სამოქალაქო წარმომადგენელი. აქვს იურისტისა და ჟურნალისტის დიპლომი. ფლობს ფრანგულ, იტალიურ, თურქულ და ურდუს ენებს. აქვს 25-წლიანი დიპლომატიური გამოცდილება.

რამდენად კარგია საქართველოსთვის კელი დეგნანის ელჩად დანიშვნა? ხომ არ უნდა ველოდოთ საქართველოს ნატოსკენ სავალ გზაზე ამერიკის კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას, რას უკავშირდება დასავლეთში გაძლიერებული კრიტიკა „ქართული ოცნების“ მიმართ და ხომ არ არის მოსალოდნელი ამ კრიტიკის ზრდა? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში, საქართველოს ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი **ბათუ ქუთელია** საუბრობს:

– როგორ აფასებთ ამერიკის ახალი ელჩის არჩევას, რომელიც უახლოეს პერიოდში შეუდგება თავისი ფუნქციების შესრულებას. რამდენად კარგია კელი დეგნანის დანიშვნა საქართველოსთვის?

– ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ამ პოლიტიკურ მომენტში. იმიტომ, რომ როგორც ხედავთ, ბიძინა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობა რეალურად ისეთ ფაზაში შედის, რომ ბოლომდე სურს გაიფორმოს სახელმწიფოს მიტაცება. ამიტომაც ამერიკის ელჩის ყოფნა საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, როდესაც ვსაუბრობთ ქვეყანაზე, რომელიც არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და საქართველოში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების ყველაზე დიდი ხელშემწყობი. ამიტომაც, ეს თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია და არა მარტო იმიტომ, რომ აშშ-თან ფართო დღის წესრიგი გვაქვს. არამედ იმიტომაც, რომ საარჩევნო წელია და ამ პოლიტიკური კრიზისების ფონზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ამერიკის ელჩის ფიზიკურად ყოფნას საქართველოში.

ეს წელიწადნახევარი, როდესაც ამერიკის ელჩი ოფიციალურად არ იყო დანიშნული, არ აისახა კარგად ჩვენს ურთიერთობებზე და ამას კიდევაც ვხედავთ. ამერიკელ კოლეგებს სენატიდან და კონგრესიდან, რომლებსაც მოუწიათ მკაცრი განცხადებების გაკეთება საქართველოს ხელისუფლების მიმართ.

– წლების განმავლობაში იყავით აშშ-ში საქართველოს ელჩი და გაქვთ კარგი კავშირები. პირადად თქვენ თუ იცნობთ ქალბატონ ელჩს?

– არა, პირადად მე მას არ ვიცნობ. მაგრამ დიპლომატიური კორპუსის კარიერული დიპლომატია და ბევრი მეგობარი მყავს დიპლომატიურ წრეებში, რომლებიც მას ახასიათებენ ძალიან ძლიერ და პრინციპულ დიპლომატს.

– შთამბეჭდავი კარიერა აქვს მას. მათ შორის მას უმუშავია ნატოში და ასევე, იყო სამხედრო ძალების პოლიტიკური მრჩეველი. ეს ხომ არ შეუწყობს ხელს საქართველოს ნატოსკენ სავალ გზაზე?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ალეკო ელისაშვილი: „ოცნებამ“ ქვეყანა სისხლის კალოდ გადააქცია“

„სახლთან, კოლხურ კოშკთან აკუწეს კაცი და ვერავინ ვერაფერი ვერ ნახა“

ნათია ხურცილავა

„სამოქალაქო მოძრაობის“ ლიდერი **ალეკო ელისაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ცოტნე გამსახურდიას დაჭრას თქვენ რას უკავშირებთ? გაქვთ მოლოდინი, რომ გამოძიება უახლოეს ხანში გახსნის ამ საქმეს?

– პირველ რიგში ცოტნე გამსახურდიას გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. ძალიან მინდა გადარჩეს და ამისთვის ვლოცულობ. ცოტნე არის ძალიან მაგარი ბიჭი და ძალიან კარგი მოქალაქე.

ცოტნე გამსახურდია, როგორც მოქალაქე, ამ ქვეყანას ძალიან სჭირდება თავისი აქტიური პოზიციით.

რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებს, ზოგადად ქვეყანაში შექმნილ რეალობას, შუქი რომ გამორთო, ჩვეულებრივ 90-იან წლებში ვართ, მეტი არაფერი. ხან პოლიციელებს ბავშვები თვითმკვლელობამდე მიჰყავთ, ხან თავად პოლიციელებს ყელს ჭრიან. აგერ, დღისით, მზისით კაცს თავს დაესხნენ, დაუნდობლად აჩეხეს და თავდამსხმელები ვერ დააკავეს.

სახლთან, კოლხურ კოშკთან აკუწეს კაცი და ვერავინ ვერაფერი ვერ ნახა, არავინ არაფერი არ იცის და აქამდე დამნაშავე დაკავებული არ არის! ძალიან წახდა ეს ქვეყანა. სისხლის კალოდ გადააქცია ქვეყანა ხელისუფლებამ, მისმა პოლიტიკამ. აქამდე უნიათობის, უსაქმურობის, კორუფციის ჭაობი იყო, ქვეყნის ძარცვის ასპარეზი იყო, ახლა უკვე სისხლის კალოს აწყობენ.

პირველ რიგში რაც მადარდებს, ცოტნეს გადარჩენაა, მისმა ორგანიზმმა გაუძლოს ამ ყველაფერს. დანარჩენ ყველაფერზე პოლიტიკურად „ქართულ ოცნებას“ უნდა მოვთხოვოთ პასუხი. პასუხი უნდა მოვთხოვოთ ამ ქვეყნის აბუჩად აგდებისთვის. „ქართულ ოცნებას“ პასუხი უნდა მოვთხოვოთ ხალხის გადაგდებისთვის. ხალხის სიღატაკეში დახრჩობისთვის.

– ხელისუფლების პოლიტიკურ შეცდომებს ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები შეიძლება დავუკავშიროთ?

– „ქართული ოცნების“ მატარებელი წასულია. კარგა ხანია მათმა მატარებელმა ჩაიარა, წასულია „ოცნების“ საქმე. თუ ოდნავ მაინც ჭკუა აქვს ვინმეს თავში და ოდნავ მაინც შეუძლიათ ვითარების ანალიზი, უნდა მიხვდნენ, რომ დროის ამბავია. დროის ამბავია და ამიტომ ჩვენი ქვეყანა არ უნდა აჯანჯღარონ!

– „ქართული ოცნების“ მესამე ვადით არჩევას გამორიცხავთ?

– რა მესამე ვადით?! რა თქმა უნდა, გამოვრიცხავ. შეიძლება „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს მეშვიდე ვადითაც უნდათ, ალბათ უნდათ კიდეც, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, მათ რა უნდათ, მთავარია, ხალხს რა უნდა. ამ ქვეყნის მოქალაქეებს რა უნდათ და როგორ უნდათ! ეს უნდა გაიგოს ყველამ! ამათი საქმე წასულია.

– ისინი არ ფიქრობენ, რომ მათი საქმე წასულია.

– ისინი საერთოდ რამეზე ფიქრობენ?! აქამდე მიიყვანეს ქვეყანა, შეხედეთ, რა ხდება ირგვლივ! ხალხსა და ქვეყანაზე რომ ეფიქრათ, აქამდე არ მივიდოდა ეს ყველაფერი და ასეთ სამარცხვინო დღეში არ ჩაიგდებდნენ თავს, მაგრამ ეს მათი არჩევანი იყო და ამ არჩევანისთვის ახლა პასუხი უნდა აგონ.

ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ. ახლა მთავარია, ქვეყანამ არ იჯანჯღაროს, მათი წასვლა ძვირად არ დაგვიჯდეს, თორემ ისინი რომ წასულები არიან, ამას კი ვხედავთ.

– „ქართული ოცნება“ ოპოზიციასთან შეხვედრაზე ახალი წინადადებით მივიდა, 100 დეპუტატი პროპორციულად ავირჩიოთ, 50 მაჟორიტარულადო. რას იტყვით?

– ვაჭრუკანები არიან! ცდილობენ, ჭკუაში მოგვატყუონ. იქნება როგორმე გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში ყოფნა, არ გამოუვათ. ერთმანეთი მოატყუონ მაგ რაღაცებით.

კალაძემ ხომ გვითხრა, დახურულია ეს თემაო, ახლა რატომ დადიან ვითომ წინადადებებით?! თუ თემა დახურულია, ამ შემოთავაზებას რატომ აკეთებენ. ჩაიარა მაგათმა მატარებელმა.

– ოპოზიცია არ უნდა დათანხმდეს?

– არა, პროპორციული, ე.წ. გერმანული მოდელი მიიღონ, მორჩა და დამთავრდა. ნუ წვალობენ, ნუ ცდილობენ ვითომ სახის შენარჩუნებას, სახე უკვე წაშლილი აქვთ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

ვახტანგ მაისაია: „ამ მთავრობას ხრუშჩოვის მთავრობაც კი სჯობია“

„15 წლის მოზარდის დაკითხვისას გამოიყენეს ეჟოვისა და იაგოდას სტილის მეთოდები“

გულიკო ბალაძე

რა არის საჭირო სამართალდამცავი სისტემის გასაჯანსაღებლად? ვინ აწამებდა და სად არიან მისი მწამებლები დღეს? – „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, მოგეხსენებათ, რა კადრები იყვნენ სამართალდამცავ სისტემაში საკაშვილის რეჟიმის დროს, რომლის ერთ-ერთი მსხვერპლი თქვენც იყავით. როგორც ცნობილია, თქვენც უკანონოდ დაგაპატიმრეს და გაწამეს. 2012 წლის შემდეგ სამართალდამცავ სისტემაში კადრების ძირეული ცვლილებები არ მომხდარა. როგორია თქვენი შეფასებები დღეს, როდესაც ირკვევა, რომ 15 წლის ახალგაზრდა დაკითხვის შემდეგ თვითმკვლელობამდე მივიდა, რაზეც გამომძიებელი დაატპატიმრეს?

– ფაქტობრივად, აქ ახალგაზრდა აფექტის მდგომარეობამდე მიიყვანეს, როდესაც ადამიანი ვერ აკონტროლებს საკუთარ ქმედებას.

არასრულწლოვნის აფექტის მდგომარეობამდე მიყვანა უმძიმესი დანაშაულია, არანაკლები დანაშაულია, ვიდრე მისი ფიზიკური განადგურება და ფიზიკური ლიკვიდაცია. ეს არის მთავარი. ყველაზე ამაზრზენად მომეჩვენა ის, რომ მას დაუპირისპირეს საკუთარი თანაკლასელი გოგონა. რამდენადაც ვიცი, იმ გოგონასაც ანალოგიური ქმედების მცდელობა ჰქონდა. ეს არის უმძიმესი მომენტი. შეიძლება, მათ შორის იყო ისეთი ურთიერთობა, რომელიც ამ ასაკში სავსებით დასაშვები კი არა, მისაღებიც უნდა იყოს.

მათ გამოიყენეს ეჟოვისა და იაგოდას სტილის მეთოდები, რომელსაც თავის დროზე რეპრესიები მიდიოდა და დაპატიმრებულებს თავის მეუღლეებს, დას, ძმას უპირისპირებდნენ. ასეთი საბჭოური ტიპის მეთოდებია გამოყენებული.

რატომ წამოვიდა ეჟოვშჩინადაც ყველაზე დიდი სისაძაგლეები? რატომ უკავშირდება ეჟოვშჩინას მომხდარი? იმიტომ, რომ ეჟოვის ბრძანებით გაიცა ისეთი ბრძანება, რომ კონკრეტული ადამიანი გაეტეხათ, ახლობელ ადამიანზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. ეს ელემენტი შემოიტანა ეჟოვმა შინსახკომის მმართველობის პერიოდში.

ასეთ მეთოდებს და მძიმე ტრავმებს ჩამოყალიბებული, ზრდასრული ადამიანები ვერ უძლებენ. შემიძლია მოვიყვანო 1938 წელს რეპრესირებული მარშალ ბლუხერის მაგალითი, როდესაც მარშალ ბლუხერს, წამების მიუხედავად, ვერაფერი ათქმევინეს, მაგრამ როდესაც ცოლი დაუპირისპირეს, მასზე ხელი დაადებინეს და მის თვალწინ აწამეს, მან მერე ისეთი ქმედება ჩაიდინა, რომ შემდეგ ის ადამიანი ცემაში მოკლეს.

– შორეული, 37-იანი წლების საბჭოთა წამების მეთოდებზე რომ არ ვისაუბროთ, ჩემთვის არაერთი ფაქტია ცნობილი, როცა მსგავსი მეთოდი გამოიყენეს შევარდნაძის დროს. მაგალითად, დოკვაძე რომ აწამეს და თავისი ოჯახის წევრების, პატარა ბავშვების განადგურებით ემუქრებოდნენ. ასევე იყო საკაშვილის დროსაც.

– დიახ, ჩემზეც ახდენდნენ ზეწოლას ოჯახის წევრებით, მეუბნებოდნენ, რომ დედაჩემს, ჩემს ცოლს აწამებდნენ და ასრულებდნენ კიდევაც, რადგან დედაჩემი დაკავებული ჰყავდათ. ეს საკუთარ თავზე მეც გამოვცადე. ეს მეთოდები სწორედ რომ ეჟოვის დროინდელია. ასეთი დონის სუბიექტები რომ გეყოლება გამოძიებაში, რომლებიც ეჟოვის სინდრომით არიან დაავადებულები, ეს სამხეცეს ემსგავსება.

– სისტემა უნდა დაინგრესო. არაერთხელ გვისაუბრია იმაზე, რომ იმ პროკურორებისა და გამომძიებლების დიდი ნაწილი, რომლებიც საკაშვილის დროს დანაშაულს ჩადიოდნენ, ადამიანებს უკანონოდ აპატიმრებდნენ და წამებებში მიუძღვით წვლილი, სისტემაში კვლავ დარჩნენ. იგივე თქვენი გამომძიებლები და მწამებლებიც ხომ სისტემაში დარჩნენ?

– დიახ, დარჩნენ.

– პრემიერმა განაცხადა, რომ სამართალდამცავი სისტემიდან უნდა წავიდნენ ის პირები, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ასეთ დანაშაულობებში.

– არ ვიცი, რამდენად რიტორიკული განცხადებაა. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, მაგრამ ამ შემთხვევაში საკმაოდ დაგვიანებული რეაგირებაა. ამას ეწირება ჩვენი ახალგაზრდა თაობა, ღირსეული ადამიანები. მათ ძალებზე ასეთი ქმედების განხორციელება უზნეობად მიმაჩნია. სჯობდა თავის დროზე განეხორციელებინათ ასეთი ცვლილებები. გამოევლინათ დოქსოპულოები (ამ სუბიექტების მიმართ სხვა ტერმინს ვერ გამოვიყენებ).

– გვიანია თუ არა, აუცილებელია სამართალდამცავი სისტემა ისეთი კადრებისაგან გათავისუფლდეს, რომელიც იწირავს ადამიანებს.

– აქ ერთი მომენტია, როდესაც თვითონ რეპრესირებული ადამიანები არ არიან რეაბილიტირებულები, მათ რეაბილიტაციას ამუხრუჭებენ და ამით ჯალათებს აძლევენ საშუალებას, მსგავსი ქმედებებით მანიპულაცია მოახდინონ, ამას რა ჰქვია? ჯერ რეპრესირებული ადამიანების რეაბილიტაცია მოახდინონ, მათ სახელმწიფომ ბოდიში მოუხადოს და მერე მიხედოს იმ სუბიექტებს, რომლებიც საქმეების ფალსიფიცირებას ახდენდნენ.

– ეს ერთდროულად უნდა გაკეთდეს.

– მე ძალიან გული მტკივა. ხრუშჩოვი რომ ხრუშჩოვია, მანაც აჯობა დღევანდელ ხელისუფლებას. ეს როგორ ვთქვა? ხრუშჩოვის პარტოკრატიული მმართველობის სისტემამ ის მაინც გააკეთა, რომ 37-იან წლებში რეპრესირებული ადამიანების სრული რეაბილიტაცია მოახდინა და ის ჯალათები დასაჯა, ვინც მაშინ იყვნენ სისტემაში. ტრაგედიაა, როდესაც ამბობ, რომ ხრუშჩოვმა აჯობა ამ ხელისუფლებას. მეტი რა შედარება გავაკეთო.

– სანამ საკაშვილის დროინდელი ადამიანების მწამებელი პროკურორები, გამომძიებლები სისტემაში იქნებიან, რეპრესირებულების რეაბილიტაცია არ მოხდება და წამებულ ადამიანებსაც ბოდიშს არავინ მოუხდის.

– გეთანხმებით. ეს არის ბოლო შანსი. თუ არადა, ისინი გადაიქცევიან იმ დრაკონად, რომელი დრაკონის წინააღმდეგაც ისინი იბრძოდნენ. დრაკონი მოკლულია, მაგრამ დრაკონის ნაშიერები და ისინი, ვინც დრაკონს ემსახურებოდნენ, სისტემაში კვლავ არიან. დრაკონს თავი მოჭრილი აქვს, მაგრამ დრაკონის კუდი და სხეული დარჩენილია. რა მნიშვნელობა აქვს, მე დრაკონის თავი მომიღეს ბოლოს, დრაკონის კუდი თუ სხეული.

– ითქვა, რომ ამ ხელისუფლებამ საკაშვილის ხელისუფლებისაგან ისწავლაო. კი არ უსწავლია, არამედ სისტემაში დარჩნენ იმ დროს მომუშავე გამომძიებლები და პროკურორები.

– დიახ, დრაკონის თავი და კუდი დარჩა.

– რომ არ ეთქვათ, პოლიტიკური წმენდა და დევნა მიმდინარეობსო, სისტემიდან ყველა არ გაუშვეს.

– ეგ ზღაპარი მოუყვნენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს. როცა შენ ჯალათების სისტემაში არ ახორციელებ რეფორმას და ძირეულ ლუსტრაციას, შედეგი ისეთი იქნება, რაც გვაქვს. ლუსტრაციის მთავარი არსია, ტოტალიტარული სისტემის პერიოდის ჯალათი მაღალჩინოსნებისა და საშუალო რანგის ჩინოსნების გამოვლენა, მათი იდენტიფიცირება და ჩამოცილება სახელისუფლებო ნებისმიერი დონის ბერკეტებიდან. ლუსტრაციის მთავარი იდეაა, ტოტალიტარული სისტემის არ დაბრუნებისთვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავება. ლუსტრაციაა ჯალათების, მათი დამქაშების გამოვლენა, იდენტიფიცირება, მათი სისტემიდან გაძევება და დასჯა.

– თქვენი საქმის გამომძიებლები 2012 წლის შემდეგ მართლა დააწინაურეს?

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ხაჯიმბამ და ბიბილოვმა ხალხს გაერთიანებისკენ მოუწოდეს

მარიამ მჭედლიშვილი

იმ საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელმა, რომელსაც დატყვევებული ჰყავს ქართველი ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი, წლის შედეგების შეჯამებისას პროვოკაციულად წამოსწია რუსეთში ოსების გაერთიანების მივიწყებული იდეა.

ბიბილოვმა წინასაახალწლოდ, გარკვეულად გადაუხვია წლის მთავარ თემებს. ეს თემებია დაძაბულობა საოკუპაციო ხაზზე, რაშიც რეჟიმი თბილისს ადანაშაულებს და 100 წლის წინანდელი მოვლენები. ოსური ვერსიით, საუკუნის წინ ქართველებმა მოაწყვეს ოსების გენოციდი.

– ოსების ეროვნული იდეა 1920 წელსაც, ასევე 1989-1990 და 2008 წლებშიც იყო ერთიანი ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ იდეის შეცვლა. ეს არ უნდა გავაკეთოთ იმის გამო, რომ მაძღრები და შემოსილები ვართ, – განაცხადა დე ფაქტო ლიდერმა.

მისი სიტყვებით, გაყოფილი ეთნოსისათვის მთავარი ამოცანა გაერთიანება უნდა იყოს. ოსი ხალხი გაყოფილია.

ბიბილოვი ირწმუნება, რომ რუსეთში ცხინვალის რეგიონის შესვლა მთელ მოსახლეობას უნდა. ამას ადასტურებს 90-იან წლებსა და 2006 წელს ჩატარებული რეფერენდუმები.

ბიბილოვს იმედს აძლევს გერმანიის მაგალითი. გერმანიის გამოცდილება დანარჩენ საქართველოშიც ბევრს აიმედებს. ოღონდ, სხვა თვალსაზრისით – აქ ნატოში გაწევრიანება აქვთ მხედველობაში.

საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელისათვის გერმანია მისაბაძია ორ ნაწილად გაყოფილი გერმანელების გაერთიანების მხრივ.

– დღეს გერმანია მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოა. ერთიანი მომავალი ელით კოსოვოსა და ალბანეთს. მსოფლიოში ასეთი მაგალითი ბევრია, – აღნიშნავს ბიბილოვი.

მისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და მისი ნაწილის რუსეთის ავტონომიურ სუბიექტთან შეერთება დაბრკოლებას არ წარმოადგენს.

ბიბილოვი ამბობს, რომ წინა წლებში წარმატებით ჩაიარა რუსეთის რეგიონების გამსხვილების პროცესმა.

– უნდა გავითვალისწინოთ გეოპოლიტიკის რეალიები, ჩვენი სახელმწიფოებრიობის პარამეტრები, გამოწვევებისა და საფრთხეების დონე. რუსეთის შემადგენლობაში რომ ვიყოთ, ქართველი პოლიციელები სოფელ წნელისის ნახვას დურბინდითაც ვერ გაბედავდნენ, – დასძინა ოკუპირებული რეგიონის ადმინისტრატორმა.

მისი თქმით, ამის განხორციელება აუცილებელია, ვინაიდან „საქართველო მზად არ არის თანასწორუფლებიანი დიალოგისათვის სამხრეთ ოსეთთან“.

ბიბილოვი ამავე დროს შეხვდა ოკუპანტი რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს დელეგაციას. შეხვედრაზე მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტია რუსეთის მე-4 სამხედრო ბაზა. მისი თქმით, რუსების დახმარებით წარმატებით განხორციელდა რეგიონის ჯარის რეფორმირება და ის უკვე მზადაა რთული და პასუხისმგებლიანი ამოცანების გადასაწყვეტად.

ერის გაერთიანებისა და დაპირისპირების შეწყვეტის იდეით გამოდის მეორე ოკუპირებული რეგიონის, აფხაზეთის ლიდერი.

რაულ ხაჯიმბა რუსეთთან უფრო მეტ ინტეგრაციას არ მოითხოვს. ასეთი მოთხოვნა რომ დააყენოს, აფხაზეთის საზოგადოებას უარესად გადაიმტერებს.

ხაჯიმბამ ოჩამჩირის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად გენადი ცვიუბას წარდგენისას განაცხადა:

– თუ ჩვენ ერთი ხალხი, ერთი ერი ვართ, უნდა გავერთიანდეთ და ერთად ვიმუშაოთ, დაპირისპირებას წერტილი უნდა დავუსვათ, ერთმანეთს კი პატივისცემით მოვეპყროთ. მუდმივად რუსეთის დახმარების იმედზე ვერ ვიქნებით. უნდა გავზარდოთ საკუთარი შემოსავლები, – განაცხადა ხაჯიმბამ.

რუსეთი კი, როგორც ჩანს, აფხაზეთში რუსული კაპიტალის შემოსვლას ისევ ესწრაფვის. აფხაზეთში ჩასულმა რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვიტალი მუტკომ აღნიშნა, რომ აფხაზურ მხარესთან შეთანხმებულია კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. ამან ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის ერთობლივად წარმოებას.

მუტკო ირწმუნება, რომ რუსი ბიზნესმენები, რუსეთის ხელისუფლებასთან ერთად, იმაზე ოცნებობენ, რომ აფხაზეთს საკუთარი შემოსავლები ჰქონდეს.

„აშშ-მა „ოცნებას“ ბოლო გაფრთხილება მისცა, მას ბოლო შანსი აქვს, კატასტროფულად არ დაამთავროს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– მისი სენტაში მოსმენას თუ მიადევნეთ თვალ-ყური, იქაც დაინახავდით, რომ მან ძალიან კარგი აქცენტები გააკეთა თავის გამოსვლაში. სწორედ ამას გაუსვა ხაზი, რომ თავისი კარიერის ყველა ეტაპზე საქართველო მისი ინტერესების სფეროში შედიოდა. იქნებოდა ეს იმ პერიოდში, როდესაც ნატოში მსახურობდა თუ როდესაც ავღანეთში მსახურობდა, ასევე მაშინ, როდესაც საზღვაო ძალების თანაშემწე იყო. ყველა კრიტიკულ მოცემულ მომენტში მისთვის საქართველო იყო ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ქართულ-ამერიკული სტრატეგიული პარტნიორობა მისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და მას ამ საკითხში აქვს დიდი გამოცდილება.

ნატოში ინტეგრაცია, ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი პრიორიტეტული თემაა. განსაკუთრებით კი ახლა, როდესაც საუბარი არის რუსული აგრესიის ეფექტიანად შეკავებაზე. საქართველო არის ფრონტის ხაზზე და ამერიკის ოფიციალური პოზიციაა, რომ საქართველო უნდა გახდეს ნატოს წევრი.

– ახსენეთ კრიტიკული შეფასებები და ვნახეთ კონგრესმენების მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადება. რა მთავარი გზავნილი დაინახეთ ხელისუფლების მისამართით?

– კონგრესმენების წერილს ასევე მოყვა საგარეო კომიტეტის თავმჯდომარის ინტერვიუ, ამას მოყვა „ვოლ სტრიტ ჯურნალის“ (თჰე ჭალლ შტრეეტ ჟოურნალ) ძალიან მკაცრი და კრიტიკული სტატია, სადაც პირდაპირ არის აღწერილი ის კატასტროფული შედეგები საქართველოს სახელმწიფოსთვის, რაც მოიტანა „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა. პირველ რიგში საუბარია იმაზე, რომ ნატოსა და რიტორიკული პროდასავლურობის ფასადის უკან რეალურად საქართველო ბრუნდება რუსეთის გავლენის ქვეშ. ეს გზავნილია ამ სტატიაში გამოთქმული დასკვნები. სწორედ ამიტომ არიან ჩვენი პარტნიორები ასე შეშფოთებული.

ზუსტად იგივე განაცხადა „აი-არ-აი“-ს პრეზიდენტმა, რომ ის ტონი, როგორც ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები საუბრობენ ამერიკულ ორგანიზაციებზე, ეს ჰგავს პუტინისა და სხვა ავტორიტარების ტონს. ეს ყველაფერი ერთიანობაში ქმნის იმას, რომ საერთაშორისო მედიიდან იქნება თუ კონგრესიდან გზავნილები, ეს ძალიან მკაცრი გაფრთხილებაა „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის მიმართ. მე ვფიქრობ, რომ ეს არის „ქართული ოცნების“ ბოლო შანსი, რომ პროცესები წაიყვანონ ნორმალური ცხოვრების გზით და გადაარჩინონ საკუთარი თავიც და არ დაასრულონ კატასტროფით.

– ანუ ბოლო გაფრთხილება მისცეს?

– დიახ. ბოლო გაფრთხილებაა, როდესაც პირდაპირ ეუბნებიან, რომ დანაპირები უნდა შეასრულონ დიპლომატიური შეფუთვის გარეშე. პირდაპირი გაფრთხილებაა, რომ რუსულ ორბიტაზე დაბრუნებაზე საუბრობს „ვოლ სტრიტ ჯურნალი“. პირდაპირი გაფრთხილებაა, როდესაც ის ტრამპს მოუწოდებს, რომ ბიძინა ივანიშვილის და მასთან დაკავშირებული პირების მიმართ სანქციების საკითხი განიხილოს ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ. ამაზე დიდი გაფრთხილება არ არსებობს.

აქამდეც იყო სხვადასხვა არხებით გაფრთხილება, ხან კულუარულად, ხან პირადულად, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ გაიგეს.

– გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კრიტიკული მედიისგან მალულად ხვდებიან კონგრესმენებს. ეს რას ნიშნავს?

– როგორც ჩანს, მათ უნდოდათ თავიანთი გზავნილები და სამთავრობო პროპაგანდა ჩაეტანათ და გაექარწყლებინათ ის, რაზეც ჩვენი პარტნიორები და საერთაშორისო მედია ავრცელებს. ასეთი მცდელობები განწირულია კრახისთვის, როდესაც ფარულად ჩადიან და აქეთ შეტევაზე გადადიან. სამარცხვინო აქცენტების გაკეთება თითქოს მათ არ იციან, რა ხდება რეალურად. მათ მოუწიათ კიდეც ახსნა, რატომ იციან, რა ხდება საქართველოში და თქვეს, რომ ამერიკის შიდა პოლიტიკაზე მეტად საქართველოს შიდა პოლიტიკას ადევნებს თვალს. საუბარი და დაბრალებები, თითქოს ვიღაც ატყუებს, შეურაცხმყოფელია თვითონ ამ კონგრესმენებისთვის და ძალიან ცუდად ახასიათებს „ქართული ოცნების“ დეპუტაციასაც.

როდესაც მტყუანი ხარ, ძალიან ძნელია, ვიღაცა დააჯერო შენს სიმართლეში. „ქართული ოცნება“ ამ შემთხვევაში მტყუანია. ამაზე საუბრობს საერთაშორისო მედიაც. მათ მოატყუეს საქართველოს მოსახლეობა. მოატყუეს საერთაშორისო თანამეგობრობა და ამიტომაც მოუწოდეს კონგრესმენებმა, რომ რაც შეიძლება დროზე შეასრულონ დანაპირები.

– გაქვთ თუ არა მოლოდინი, რომ „ქართული ოცნების“ მისამართით დასავლეთის მხრიდან კრიტიკა კიდევ უფრო გაიზრდება?

– კრიტიკა გაიზრდება მანამ, სანამ არ გადადგამენ სწორ ნაბიჯებს. კრიტიკა იყო მოზომილიც. გახსოვთ, მაიკ პომპეოს ბახტაძესთან შეხვედრაზე რბილად იყო ნათქვამი კრიტიკული გზავნილები. მაშინ ამერიკამ საქართველოს ხელისუფლებას კონსტრუქციულ რეჟიმში უთხრა სათქმელი, მაგრამ არ გაითვალისწინეს. ვერც ერთი შანსი, რომ სწორი გადაწყვეტილებები მიეღოთ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ვერ გამოიყენა. მე ვფიქრობ, რომ სწორ გადაწყვეტილებას ისინი ახლაც ვერ მიიღებენ და აქედან გამომდინარე ეს კრიტიკა გაიზრდება მანამ, სანამ მართლა არ შეიცვლება არაფორმალური მმართველობა და სახელმწიფოს მიტაცება ბიძინა ივანიშვილის მხრიდან.

ვაჟა გაფრინდაშვილს ცხინვალმა 1 წელი და 9 თვე მიუსაჯა



20 დეკემბერს ცხინვალის რეჟიმმა ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს 1 წლით და 9 თვით პატიმრობა მიესაჯა.

რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ცნობილი ექიმი-ტრავმატოლოგი ვაჟა გაფრინდაშვილი 9 ნოემბერს, ახალგორის რაიონში დააკავეს. ექიმის ოჯახი ვარაუდობს, რომ ვაჟა გაფრინდაშვილს ახალგორში დაშავებული ადამიანისთვის დახმარების გაწევა სურდა.

დე ფაქტო ხელისუფლებამ ვაჟა გაფრინდაშვილს ე.წ. სახელმწიფო საზღვრის განზრახ დარღვევის ბრალდება წაუყენა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 322-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს 200.000 რუბლით დაჯარიმებას, ორ წლამდე იძულებით სამუშაოებს, ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

15 ნოემბერს, ე.წ. ლენინგორის სასამართლომ ვაჟა გაფრინდაშვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

– ეს არის რუსეთის სასტიკი სახე, რომელიც ადამიანებს კლავს, აპატიმრებს და შეურაცხყოფს ჩვენს სახელმწიფოს.

ასე გამოეხმაურა საოკუპაციო რეჟიმის მიერ ვაჟა გაფრინდაშვილისთვის პატიმრობის შეფარდებას „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ელენე ხოშტარია.

როგორც ხოშტარია აცხადებს, ახლა ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ მუშაობა, რათა რუსეთზე ზეწოლა მოხდეს.

– ვაჟა ექიმმა ფაქტობრივად თავი გაწირა იმის გამო, რომ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას პატივი სცეს მთელმა მსოფლიომ. ამ დროს, რას შვება ჩვენი ხელისუფლება? მთავარი კითხვა არის ეს.

გარდა იმისა, რომ ამაზე ხმამაღლა არ ყვირის, მთელი მისი ენერგია მიდის ოპონენტების დევნაზე, ამერიკელების ლანძღვაზე.

ახლა ჩვენი მთავარი საყრდენი ვაჟა ექიმის გამოხსნაში არიან ამერიკელები. „ქართულ ოცნებას“ სკამზე მობღაუჭების გამო უტრიალდება ენა, რომ ამერიკელი კონგრესმენები და სენატორები გალანძღოს. ახლა მიდის სასამართლო პროცესები, სადაც კუხიანიძის გაპროტესტებაზე ასამართლებენ ადამიანებს. ყველაფერი შეტრიალებულია.

არათუ არ მუშაობს ხელისუფლება, ხელისუფლება ებრძვის იმ ადამიანებს, ვინც დგას ამ საერთო ღირებულების მხარეს. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის შიგნით ხმამაღლა პროტესტი, რომ მთელმა მსოფლიომ დაინახოს, ასევე ქვეყნის გარეთ მუშაობა, რომ ზეწოლა მოხდეს რუსეთზე, – განაცხადა ხოშტარიამ.

ვაჟა გაფრინდაშვილისთვის სასჯელის დაწესებას სუსი ასე გამოეხმაურა:

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით მოქმედი „ცხელი ხაზით“ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ადასტურებს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში საქართველოს მოქალაქე ვაჟა გაფრინდაშვილისთვის უკანონო პატიმრობის გახანგრძლივებას.

ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო პატიმრობა წარმოადგენს უკანონო პოლიტიკის ნაწილს, რაზეც სრული პასუხისმგებლობა საოკუპაციო რეჟიმს ეკისრება. აღნიშნული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ოკუპირებულ რეგიონში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის და ადგილზე უსაფრთხოების კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივ რეჟიმში გააგრძელებს ვაჟა გაფრინდაშვილის გასათავისუფლებლად მუშაობას და აღნიშნულ უკანონო გადაწყვეტილებაზე საერთაშორისო ორგანიზაციების და საქართველოს პარტნიორი ქვეყნების ინფორმირებას“.

„ამ ცხოვრების დედაც, თქვენი სამართლის დედაც!“

ბესიკ თამლიანი, ზურაბ ბუდაღაშვილი, ცოტნე სოსელია და კახაბერ კუპრეიშვილი პატიმრობაში რჩებიან

20 ივნისის საქმეზე დაკავებული ოთხი პირი: ბესიკ თამლიანი, ზურაბ ბუდაღაშვილი, ცოტნე სოსელია და კახაბერ კუპრეიშვილი კვლავ პატიმრობაში რჩებიან.

„ამ ცხოვრების დედაც, თქვენი სამართლის დედაც“, – ფურცელზე დაწერილი ეს სიტყვები ბესიკ თამლიანმა 20 დეკემბერს სხდომათა დარბაზში გადმოფინა.

აღნიშნული წარწერა მანდატურისა და ესკორტის ოფიცრების სამსახურის თანამშრომლებმა მოახსნევინეს.

– სოლიდარობა გამოვუცხადე, თურმე ესეც არ შეიძლება. რა მოხდა, ყოფილიყო, – განაცხადა თამლიანმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოსამართლე ალექსანდრე იაშვილმა განმარტა, რომ სოლიდარობის გამოცხადებას ის ვერავის აუკრძალავს, თუმცა, ბრალდებულმა დარბაზში წესრიგი უნდა დაიცვას.

– წესრიგი დავიცვათ, კორექტულობა გამოხატეთ. სხდომის დარბაზს რამდენად შეესაბამება, ესაა მთავარი, – განაცხადა იაშვილმა.

საბოლოოდ, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბრალდებულებისთვის შეფარდებული პატიმრობა ძალაში დარჩა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას ბრალდებულ ბესიკ თამლიანის უკმაყოფილება მოჰყვა, რომელმაც განაცხადა, რომ ის სხდომათა დარბაზს ტოვებს, ვინაიდან სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მიღების აზრს ვეღარ ხედავს.

შემდეგი სასამართლო პროცესი 25 დეკემბერს, 10:00 საათზე გაიმართება.

მარიანა ჩოლოიანს პატიმრობა შეეფარდა

პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია. 15 წლის ლუკა სირაძის მიმართ ჩვენების იძულების ფაქტზე დაკავებულ გამომძიებელ მარიანა ჩოლოიანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

პროცესი ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საავადმყოფოში გაიმართა.

გარდაცვლილი მოზარდის ოჯახის ადვოკატისა და საქმის პროკურორის თქმით, გამოძიება გრძელდება და არ არის გამორიცხული, დამნაშავეთა წრე გაიზარდოს.

– შესაძლოა, გაიზარდოს ბრალდებულთა რიცხვი, შესაძლოა საქმეზე დამძიმდეს კვალიფიკაცია ან შეიცვალოს ნებისმიერ პირთან მიმართებით, – განაცხადა პროკურორმა ლევან ქუთათელაძემ.

ჩოლოიანის ადვოკატი სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა.

გაგი მოსიაშვილის თქმით, გამომძიებლის დაკავების აუცილებლობა არ იყო, რადგან ის არსად მიმალვას არ აპირებდა.

25 წლის მეგი კუპრაძე საბერძნეთში ჩამომხრჩვალი იპოვეს

საბერძნეთში, ქალაქ კალიმარეში, 25 წლის ქართველი გოგონა, ოზურგეთელი მეგი კუპრაძე, გარდაცვლილი იპოვეს. ის საბერძნეთის პოლიციამ ქალაქის პარკში ჩამომხრჩვალი ნახა.

როგორც ირკვევა, მეგი საბერძნეთში დედასთან ერთად ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში მცირეწლოვანი შვილები ჰყავდა დატოვებული, რომლებსაც მისი ყოფილი მეუღლე ზრდის.

საქართველოში ცხოვრობს გარდაცვლილის მამა სოსო კუპრაძეც. მეგი მათ სანახავად სამშობლოში ხშირად ჩამოდიოდა.

ტრაგედიაზე გარდაცვლილის ერთ-ერთი ოზურგეთელი მეზობელი კვირის პალიტრას ესაუბრა:

– ულამაზესი გოგო იყო მეგი, ასეთი ზღაპრული სილამაზის სიკვდილი დიდი სისასტიკეა! ვინ იცის, მეგი მერამდენეა, ვინც ასე დაიღუპა... გაჭირვებული და გაღატაკებული სამშობლოს გამო. მისი დედ-მამა სიყვარულით შეუღლდნენ თავის დროზე, თბილისში ცხოვრობდნენ და მეგისაც იქ ზრდიდნენ. თუმცა გაჭირვებას მათმა ქორწინებამაც ვეღარ გაუძლო... დაშორდნენ ერთმანეთს, რის შემდეგაც გოგონას დედა საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ, შვილს კი მამა ზრდიდა.

ყველაფერს აკეთებდა ქალიშვილისთვის. მეგი ნაადრევად გათხოვდა და სოსოც ოზურგეთში დაბრუნდა... ალბათ ფიქრობდა, შვილს რაიონიდან უკეთ მივეხმარებიო. თუმცა, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, – ოჯახი მეგისაც დაენგრა, რის შემდეგაც საბერძნეთში გაემგზავრა დედასთან.

მეგის ორი შვილი ჰყავს. მის შვილებსაც მისი ბედი ერგოთ, – ბავშვები მეგის ყოფილ მეუღლესთან ერთად იზრდებიან საქართველოში, დედა მათ სანახავად ხშირად ჩამოდიოდა.

– სად მუშაობდა მეგი?

– ბოლო ხანს ფოტომოდელობდა, როგორც ვიცი, თავად მოძებნეს ფოტოგრაფებმა. არც კი ვიცით, მეგის მამა როგორ გაუძლებს ამ დარდს. დედის სურვილით, გოგონა საბერძნეთში დაიკრძალება. იმედია, დროზე გაირკვევა, ვინ გაიმეტა ასე საშინლად ახალგაზრდა ქალი და დამნაშავეს სათანადოდაც დასჯიან.

როგორც ამბობენ, გოგონა პარკში ჩამომხრჩვალი ნახეს, მაგრამ მომხდარს მკვლელობის მუხლით იძიებენ.

პროკურატურამ მაღალჩინოსნების დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავა

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის თანამშრომლებმა, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული დიდი ოდენობის ღირებულების მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები – თბილისის მუნიციპალიტეტის, კრწანისის გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსი დ.კ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ კრწანისის ადმინისტრაციულ ერთეულში ბ.ლ., ასევე მოქალაქეები ზ.ბ. და რ.მ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტის ნ.გ.-ს და მოქალაქე ვ.ზ.-ს მიმართ გამოტანილია ბრალდების დადგენილებები.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2016-2019 წლებში, ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, სისტემატიურად ამზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენის გზით თაღლითურად ეუფლებოდნენ გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისში და თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთებს.

„ამ ეტაპზე დადგენილია, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრები თაღლითურად დაეუფლნენ 49 644 კვ.მ ფართობის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, რითაც სახელმწიფოს მიაყენეს დაახლოებით 700 ათასი ლარის მატერიალური ზიანი.

გამოძიება გრძელდება თაღლითურად დაუფლებული სხვა მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირების და ორგანიზებული ჯგუფის სხვა წევრების დადგენის მიზნით.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“, მესამე ნაწილის „ა“, „ბ“ და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, ბრალდებულების მიერ ჩადენილი შესაძლო ქმედება სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ვახტანგ მაისაია: „ამ მთავრობას ხრუშჩოვის მთავრობაც კი სჯობია“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– რამდენადაც ვიცი, ლადო დათაშვილი სუსში საგამოძიებო სამსახურის უფროსია, ასევე ოთარ ორჯონიკიძე კვლავ თანამდებობაზეა. ვალერი სუმბაძე არ ვიცი სად არის. მგონი აღარ არის სუსში. შეიძლება კვლავ მუშაობს. ეს სამეული იყო ჩემს საქმეზე.

– უშუალოდ ვინ გაწამებდათ?

– ეს სამეული და კიდევ კონტრდაზვერვის ყოფილი უფროსი, ვინმე გიორგი მაზმიშვილი. დანარჩენები შემოდიოდნენ და გადიოდნენ, გვარს და სახელს ნამდვილად არ მეუბნებოდნენ. ნიკა გოგუაძემაც ეს თქვა, გადიოდნენ და შემოდიოდნენ ჯალათები, ფიზიკურად გვისწორდებოდნენ, გვცემდნენ, შემდეგ გამომძიებლები შემოდიოდნენ.

მათი გვარ-სახელები იმიტომ ვიცი, რომ ეს პირები ჩემს საქმეში ფიგურირებდნენ, როგორც გამომძიებლები, თორემ კიდევ ერთი, ძალიან საშიში ჯალათი იყო, ვინმე ზვიადი, ოპერატიული მეურვე, რომელიც აძლევდა ბრძანებას. შემოდიოდნენ და ახდენდნენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. ამაზე 10-20 კაცი მუშაობდა. დათაშვილი და ორჯონიკიძე კი ოფიციალური გამომძიებლები იყვნენ. მაშინდელი კონტრდაზვერვის უფროსი მაზმიშვილი მათი უფროსი გახლდათ.

მაზმიშვილის მაღლა იდგა მერაბიშვილი და სააკაშვილი. ბრძანება სააკაშვილისაგან და ბოკერიასაგან მოდიოდა, ცხადია, იქ ყველა ვარიანტში უგულავაც იქნებოდა, ამაში ეჭვიც არ მეპარება. ასევე ადეიშვილიც ფიგურირებდა. ადეიშვილის ბრძანებით მოხდა ჩემი ჯურღმულში ჩაგდება. დანარჩენი ჭანჭიკებია, რომლებიც ასევე დარჩნენ სისტემაში.

დათაშვილი და ზუმბაძე ლაფანყურის ოპერაციას იძიებდნენ და დღემდე იძიებენ. მათ მიერ გამოძიებული საქმე როგორი იქნება, წარმოიდგინეთ. მეც ვიყავი ლაფანყურის საქმის გამომძიებელი სახალხო დამცველის მიერ შექმნილ კომისიაში. ჩვენმა გუნდმა უფრო ადრე გამოიძია და დადო კონკრეტული ფაქტები. ერთი წლის შემდეგ წარმოვადგინეთ სპეციალური ასგვერდიანი ანგარიში და პროკურატურას გავუგზავნეთ.

– 30 წელი გავიდა, რაც საბჭოთა სისტემა დაინგრა და ვერა და ვერ მივიღეთ ლუსტრაციის კანონი.

– დიახ, შევარდნაძემ ლუსტრაცია რომ არ მოახდინა და საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმის მომსახურე პარტოკრატია, სუკისა და საბჭოთა მილიციის მანკიერი სუბიექტები რომ დატოვა, კგბ-ს ჩინოვნიკები, შემდეგაც ისე გაგრძელდა.

– ბატონო ვახტანგ, მეღიმება, თვითონ შევარდნაძე იყო ყველაზე დიდი პარტოკრატი და კგბ-ს გენერალი.

– დიახ, როგორც სულხან-საბას იგავ-არაკშია, საკუთარ შვილებს ხომ არ გაწირავდა. ლიტვის კომპარტიის პირველი მდივანი ბრაზაუსკასი პირველი პრეზიდენტი რომ გახდა, ჩაატარა ლუსტრაცია და ყოფილი პარტოკრატები ჩამოხსნა სახელისუფლებო სტრუქტურებიდან.

– რას ფიქრობთ იგივე საკრებულოს დეპუტატ კუხიანიძის განცხადებაზე, რომელსაც, პირდაპირ რუსული სუნი ასდის.

– დიახ, რუსული ნარატივია.

– ნარატივი კი არა, სამშობლოს ღალატის მსგავსია, თურმე რუსეთს ვუღალატეთ, როდესაც დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ.

– ეს არის საბჭოთა მანქურთიზმის გამოვლენა. მთავარი ის კი არ არის, მხოლოდ დასავლეთის ნაწილი ვიყოთ, არამედ ღირებულებითი ერთიანობაც უნდა გვქონდეს. ერეკლე კუხიანიძე არის ლუსტრაციის არ მიღების მშვენიერი მაჩვენებელი. ის არის საბჭოთა კლასიკური გადმონაშთი, რომელმაც გააჟღერა ტოტალიტარული სისტემის ნარატივი. ჩემი აზრით, ასეთ ადამიანებსაც აქვთ თავისი აზრის გამოთქმის უფლება, სიტყვის თავისუფლებაა, მაგრამ ისინი არ უნდა იყვნენ ხელისუფლების შტოებში. როდესაც ასეთი ადამიანები ხელისუფლების შტოებში არიან, ეს ყველაზე დიდი საშინელებაა.

– მისი განცხადების წაკითხვისას შთაბეჭდილება შემექმნა, რომ რუსეთის უშიშროების სამსახურებიდან მიიღო დავალება და ამიტომ გააკეთა ასეთი განცხადება.

– მე ასე ვერ ვიტყვი, უდანაშაულობის პრეზუმპციას დავიცავ. მე არ ვარ სააკაშვილი და ბოკერიები, რომ ადამიანებს პირდაპირ წავუყენო ბრალდება ყოველგვარი სამართლებრივი დოკუმენტების გარეშე.

– გასაგებია. მე ვამბობ, რომ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

– შთაბეჭდილება გასაგებია. გავლენის აგენტობა არავის გაუუქმებია. ერთია, რომ წაუყენებ ბრალდებას, რომ ის სამშობლოს მოღალატე და ჯაშუშია ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. მეორეა გავლენის აგენტობა, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაული არ არის. ეს არის პოლიტიკური პრეფერენსის მიმართულება, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულად არ ითვლება, მორალური მხარე აქვს.

– გავლენის აგენტობაც არ არის ნაკლები?

– გავლენის აგენტობა არის მისი პოლიტიკური ორიენტაცია, პოლიტიკური ფასეულობების დამაფიქსირებელი გარემოება და იმის მაჩვენებელი, ეს ადამიანი ვინ არის და ვის ემსახურება. თუ შემდეგ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და მტრის მიმართ მისი დამოკიდებულება რაღაც ქმედებითაც გამოხატა და იდეოლოგიურადაც რაღაც ჩაიდინა, სხვა საქმეა. ყველას აქვს უფლება, თავისი არჩევანი დააფიქსიროს. მთავარია ქმედებაში და კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში არ გადავიდეს.

გავლენის აგენტობაც, ბუნებრივია, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის მაგალითი არის გმირობის ტოლფასი. მან სეპარატისტებს ჩაუშალა გეგმები, მან დაუშვა პრეცედენტი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ აღიარა ოკუპაციის ფაქტი. დღეს ამაზე დიდი გმირობა რა უნდა იყოს.

– მოკლედ, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემა გასასუფთავებელია.

– საჭიროა საკადრო ბაზის კარდინალურად შეცვლა, პლუს სისტემური ინსტიტუციონალური ცვლილებები, მეტი გამჭვირვალობის დამკვიდრება და პოლიტიკური ნების გამოვლენა. ეს კომპლექსური ღონისძიებებია გასატარებელი.

რუსეთმა და უკრაინამ გაზის ტრანზიტზე შეთანხმებას მიაღწიეს

რუსეთმა და უკრაინამ უკრაინის გავლით რუსული გაზის ტრანზიტის საკითხზე შეთანხმებას მიაღწიეს.

ამის შესახებ ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა მაროშ შევჩოვიჩმა ბერლინში განაცხადა, სადაც მხარეებს შორის რამდენიმესაათიანი მოლაპარაკება გაიმართა და, რომელსაც, შევჩოვიჩის გარდა, უკრაინის ენერგეტიკის მინისტრი ალექსეი ორჟელი და რუსეთის ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ნოვაკი ესწრებოდნენ.

– ამ ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, მოხარული ვარ განვაცხადო, რომ შეთანხმებას პრინციპში ყველა ძირითად ელემენტზე მივაღწიეთ. ეს არის ძალიან კარგი პოზიტიური ახალი ამბავი ევროპისთვის, რუსეთისთვის, უკრაინისთვის, გაზის ბაზრებისა და ყველა ქვეყნის მოქალაქეებისთვის, – განაცხადა მაროშ შევჩოვიჩმა.

უკრაინის გავლით რუსული გაზი რამდენიმე ევროპულ ქვეყანას მიეწოდება. რუსეთსა და უკრაინას შორის გაფორმებულ 10-წლიან ხელშეკრულებას კი ვადა წლის ბოლოს ეწურება.

აღნიშნულ საკითხზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 19 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მოსკოვს უკრაინის გავლით რუსული გაზის ტრანზიტის შენარჩუნება სურს.

– მიუხედავად ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისა, როგორიცაა ნორდ სტრიმი, ნორდ სტრიმ 2 და თურქსტრიმი, ჩვენ უკრაინის გავლით ტრანზიტს შევინარჩუნებთ, – განაცხადა პუტინმა.

ერდოღანი: „ჩვენ არ ვართ ის ერი, რომელსაც ხელ-ფეხს შეუკრავ“

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიპ ერდოღანის თქმით, ანკარა ანგარიშსწორებას აპირებს აშშ-ის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონი თურქეთის წინააღმდეგ შემაკავებელ ზომებს მიიღებს.

– რა თქმა უნდა, მათი სანქციების წინააღმდეგ იქნება ჩვენი კონტრსანქციები. ჩვენ არ ვართ ის ხალხი, რომელსაც ხელ-ფეხს შეუკრავ. მე მუდმივად ვამბობ: ჩვენ არ ვართ ტომების სახელმწიფო, – განუცხადა ერდოღანმა თურქ ჟურნალისტებს მალაიზიაში ვიზიტის დროს.

– დაე, მიიღონ ზომები ეს-400-ების და ეფ-35-ის წინააღმდეგ – ეს საკითხები დახურულია. ჩვენ დავხურეთ. ახლა არც რცხვენიათ და ამბობენ, რომ სანქციებს დაუწესებენ „თურქეთის ნაკადს“. ეს ძალადობაა ჩვენს ხალხზე, – განაცხადა ერდოღანმა.

აშშ-ის სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა თავდაცვის ბიუჯეტს 738 მილიარდ აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების დაცვას გულისხმობს და, სხვებთან ერთად, სანქციებს „თურქეთის ნაკადსაც“ უწესებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ქალეიდოსკოპი

70 წლის ცოლ-ქმარი 20 წუთის ინტერვალით გარდაიცვალნენ

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ ჯექსონის მკვიდრმა ცოლ-ქმარმა ქორწინებაში 70 წელი გაატარა და მეზობლად განლაგებულ საწოლებში 20 წუთის ინტერვალით გარდაიცვალნენ.

ლეს და ფრედა ოსტინებმა ერთმანეთი სკოლაში სწავლის დროს გაიცნეს. მათი პირველი პაემანი 1949 წლის ნოემბერში გამოსაშვებ საღამოზე გაიმართა.

ლესი კორეის ომის დროს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობდა, შემდეგ კი მიჩიგანის შტატის პოლიციაში. მას უყვარდა საოჯახო სამუშაოების შესრულება, ვესტერნების ყურება და სხვადასხვა ნივთების შეგროვება, რომლებიც მსახიობ ჯონ უეინს უკავშირდებოდა. ფრიდა მრავალი წლის განმავლობაში ერთ-ერთ ადგილობრივ კომპანიაში მენეჯერად მუშაობდა და კულინარიულ წიგნებს აგროვებდა.

წყვილს ზღვის სანაპიროზე დასვენება და შუქურებზე ასვლა უყვარდა. მათმა ქალიშვილმა სენდი მაესმა გაიხსენა, რომ მათ მიჩიგანის შტატის ყველა შუქურა ჰქონდათ მოვლილი.

ნოემბერში წყვილმა ქორწინების 70 წლისთავი აღნიშნა. მათი შვილიშვილის ლეია სმიტის თქმით, მათ მთელი თანაცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთხელ იჩხუბეს: ფრედა გაბრაზდა, როდესაც ლესი კორეის ომის დროს ჯარში ისე ჩაეწერა, რომ მისთვის არაფერი უთქვამს.

6 დეკემბერს წყვილი ქალაქ მეისონის საავადმყოფოში მოათავსეს. ისინი მეზობელ საწოლებზე იწვნენ და 20 წუთის ინტერვალით გარდაიცვალნენ. ლესი და ფრედა 90 წლის იყვნენ.

უშიშარმა ბიჭმა ხანძრისგან ასზე მეტი ადამიანი გადაარჩინა

მალაიზიის სარავაკის შტატში, რომელიც კუნძულ კალიმანტანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, უშიშარმა ბიჭმა ხანძარი ჩააქრო და ასზე მეტი ადამიანი დაღუპვას გადაარჩინა.

გრძელი სახლის ერთ-ერთ სამზარეულოში გაზის ღუმლის გვერდით დაგდებულ ქსოვილის ნაჭერს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი სწრაფად მოედო შენობას. 13 წლის ალექსიდი უილფრედმა თავისი დეიდის ყვირილის ხმა გაიგონა და იმ წამსვე სამზარეულოში ცეცხლმქრობით მიირბინა, მაგრამ ხელსაწყომ უმტყუნა.

ბიჭი გაიქცა და მალე სხვა ცეცხლმქრობით დაბრუნდა, რომელიც ასევე გაუმართავი აღმოჩნდა.

– ალექსიდის სამჯერ მოუხდა წინ და უკან სირბილი, ვინაიდან ორმა ცეცხლმქრობმა არ იმუშავა, – განაცხადა ქალაქ კანოვიტის სახანძრო სამსახურის უფროსმა.

სანამ ბიჭი გამართულ ცეცხლმქრობს ეძებდა, ცეცხლი მეზობელ ოთახზეც გადავიდა. ამის მიუხედავად, ცეცხლთან ბრძოლას აგრძელებდა და ის მთლიანად ჩააქრო მეხანძრეების შემთხვევის ადგილზე მისვლამდე. გრძელ სახლში ასზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა.

გრძელი სახლები ვიწრო ნაგებობებია, რომელსაც კალიმანტანელი აბორიგენები აშენებენ. ადრე მსგავსი ნაგებობები, ასევე გავრცელებული იყო ევროპასა და კოლუმბიამდელ ამერიკაში.

ოკეანის სიღრმიდან უიშვიათესი იასამნისფერი მედუზა გამოირიყა

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ბაირონ-ბეის პლიაჟზე უიშვიათესი იასამნისფერი მედუზა გამოირიყა, რომელიც ოკეანის სიღრმეების ბინადარია.

მედუზის ფოტოსურათი ფეისბუქში გამოქვეყნდა, ის ვირუსული გახდა და სოციალური ქსელის მომხმარებლები აღაფრთოვანა.

– ის ისეთი ლამაზია, მაგრამ ალბათ ადამიანის მოკვლა შეუძლია, – დაწერა თავის კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– ვფიქრობ, ვიღაცამ ოკეანეში ნარკოტიკები გადაყარა და მედუზაც ასე იმიტომ შეიღება, – ივარაუდა მეორემ.

პლანქტონების შემსწავლელმა სპეციალისტმა ჯულიან ურიბე-პალომინომ განაცხადა, რომ მედუზის ზუსტი სახეობის დასადგენად მისთვის ანალიზის ჩატარება იქნება აუცილებელი. თუმცა ის ვარაუდობს, რომ ფოტოზე გვირგვინოსანი მედუზების წარმომადგენელია აღბეჭდილი.

ვირთხამ მამაკაცს საშობაოდ გადადებული მთელი ფული შეუჭამა

ნიგერიელმა აღმოაჩინა, რომ მთელი ფული, რომელიც მას საშობაოდ ჰქონდა გადადებული, განადგურებული იყო.

მამაკაცმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც დაქუცმაცებული ბანკნოტებია ასახული, მათ შორის, რამდენიმე 1000 ნიგერიული ნაირის ნომინალის კუპიურაც.

ფოტოს კომენტარში მამაკაცმა განმარტა, რომ ეს მისი მთელი დანაზოგი იყო, რომელსაც შობის დღესასწაულისთვის აგროვებდა. მისი ვარაუდით, ფული ვირთხამ შეჭამა, ხოლო გადარჩენილი ნაგლეჯების ვერც შეწებება და ვერც ბანკში გადაცვლაა შესაძლებელი.

მშობლებს ხუთი წლის ბავშვი ავტოგასამართ სადგურზე დარჩათ

მშობლებს ხუთი წლის ბავშვი ავტოგასამართ სადგურზე დაავიწყდათ და მისი არყოფნა მხოლოდ ორი საათის შემდეგ შენიშნეს.

ოჯახური წყვილი ბავშვთან ერთად სინგაპურიდან მალაიზიაში მიემგზავრებოდა. გზაში ისინი ავტოგასამართ სადგურზე შეჩერდნენ, რის შემდეგაც გზა გააგრძელეს.

ბავშვი, რომელიც ტუალეტში იმყოფებოდა, ტიროდა და დედას უხმობდა, სადგურის თანამშრომლებმა შენიშნეს. ადგილობრივი მაღაზიის მენეჯერმა ბიჭი თანამშრომლებისთვის განკუთვნილ ოთახში შეიყვანა და დასამშვიდებლად ნაყინით გაუმასპინძლდა.

– ჩვენ მომხდარის შესახებ პოლიციას ვაცნობეთ, თუმცა გადავწყვიტეთ, რომ ის სადგურზე დაგვეტოვებინა იმ შემთხვევისთვის თუ მისი მშობლები მოიკითხავდნენ, – განაცხადა მენეჯერმა.

იმისთვის, რომ ბავშვის მშობლები უფრო სწრაფად მოეძებნათ, პოლიციამ ბიჭის ფოტოსურათი სოციალურ ქსელებში განათავსა. მშობლებმა ბავშვი ორი საათის შემდეგ გაიხსენეს და დახმარებისთვის პოლიციას მიმართეს. მისი დაბრუნების შემდეგ კი ოჯახმა გზა გააგრძელა.

მამაკაცმა ძაღლი ანაკონდას გამოსტაცა

ბრაზილიის სან-პაულუს შტატის ჟაბორანდის მუნიციპალიტეტში მამაკაცმა თავისი ძაღლი 20-წუთიანი ორთაბრძოლის შემდეგ ოთხმეტრიანი ანაკონდისგან გადაარჩინა.

დაახლოებით ერთი წლის წინ, 46 წლის პაულო მარკეტიმ ქუჩაში უპატრონო ძაღლი აიყვანა, სახლში მიიყვანა და მოუარა, სახელად კი ნეგო დაარქვა.

ანაკონდას ძაღლზე თავდასხმა კი იმ დროს მოხდა, როდესაც მარკეტი ველოსიპედით მეგობართან და მის 14 წლის შვილთან ერთად სეირნობდა. მათ ადევნებული ნეგო წყურვილის მოსაკლავად წყლისკენ გაიქცა და იქ ჩასაფრებული ანაკონდა ვერ შენიშნა. გველი ცხოველს თავს დაესხა, შემოეხვია და წყლის სიღრმეში ჩათრევა დაუწყო.

მარკეტის ძაღლის წკავწკავის ხმა შემოესმა, ველოსიპედი მიატოვა და ნეგოს გადასარჩენად მივარდა. მან ის ნაპირზე ამოათრია და ანაკონდის მარწუხებისგან მის განთავისუფლებას შეეცადა. გველი მამაკაცის მცდელობას არაფრად აგდებდა და ძაღლის გაგუდვას აგრძელებდა.

ნეგოს განთავისუფლება მარკეტმა მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა, როდესაც მეგობარი მიეხმარა. საყვარელი ცხოველის გადასარჩენად მას ქვეწარმავალთან თითქმის 20-წუთიანი ორთაბრძოლა დასჭირდა.

ძაღლი ამ შემთხვევას სერიოზული დაზიანებების გარეშე გადაურჩა. ანაკონდა კი ისევ წყლის სიღრმეში გაუჩინარდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დეზები არისტოკრატების წინააღმდეგ

სტატისტიკა, ფსონები

ამ უქმეებზე ყველაზე ცხელი წერტილი ლონდონშია, სადაც დედაქალაქური დერბი გაიმართება. ტოტენჰემი საკუთარ არენაზე დაუხვდება ჩელსის – ვნახოთ, რას გაახერხებენ დეზები არისტოკრატების წინააღმდეგ.

21.12 ევერტონი-არსენალი	2.35	3.70	2.85
21.12 ნიუკასლი-კრ.პალასი	2.40	3.10	3.20
21.12 ბრაიტონი-შეფილდი	2.20	3.25	3.45
21.12 ნორვიჩი-ვულვზი	3.75	3.70	1.95
21.12 ასტონ ვილა-საუთჰემპტონი	2.40	3.55	2.85
21.12 ბორნმუთი-ბარნლი	2.40	3.40	2.95
21.12 სიტი-ლესტერი	1.40	5.25	7.25
22.12 უოტფორდი-მანჩესტერი	4.40	3.80	1.80
22.12 ტოტენჰემი-ჩელსი	2.40	3.65	2.80

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	17	16	1	0	42-14	49
2.ლესტერი	17	13	2	2	40-11	39
3.სიტი	17	11	2	4	47-19	35
4.ჩელსი	17	9	2	6	31-25	29
5.ტოტენჰემი	17	7	5	5	32-24	26
6.მანჩესტერი	17	6	7	4	25-20	25
7.შეფილდი	17	6	7	4	21-16	25
8.ვულვზი	17	5	9	3	24-21	24
9.კრ.პალასი	17	6	5	6	15-19	23
10.არსენალი	17	5	7	5	24-27	22
11.ნიუკასლი	17	6	4	7	17-24	22
12.ბარნლი	17	6	3	8	22-29	21
13.ბრაიტონი	17	5	5	7	21-25	20
14.ბორნმუთი	17	5	4	8	19-24	19
15.ვესტ ჰემი	17	5	4	8	19-28	19
16.ევერტონი	17	5	3	9	20-29	18
17.ასტონ ვილა	17	4	3	10	23-30	15
18.საუთჰემპტონი	17	4	3	10	18-36	15
19.ნორვიჩი	17	3	3	11	18-35	12
20.უოტფორდი	17	1	6	10	9-32	9

გერმანია

21.12 კიოლნი-ვერდერი	2.15	3.70	3.15
21.12 მაინცი-ლევერკუზენი	3.80	3.95	1.85
21.12 ბაიერნი-ვოლფსბურგი	1.16	8.00	15.75

21.12 ლაიფციგი-აუგსბურგი	1.30	6.00	9.50
21.12 შალკე-ფრაიბურგი	1.70	4.00	4.90
21.12 ჰერტა-გლადბახი	3.10	3.65	2.20
22.12 ფორტუნა-უნიონი	2.70	3.35	2.65
22.12 პადერბორნი-აინტრახტი	3.50	3.90	1.95

სატურნირო ცხრილი:

1.ლაიფციგი	16	10	4	2	44-19	34
2.გლადბახი	16	11	1	4	33-18	34
3.ბაიერნი	16	9	3	4	44-22	30
4.დორტმუნდი	16	8	6	2	40-22	30
5.შალკე	16	8	5	3	27-19	29
6.ფრაიბურგი	16	7	4	5	25-21	25
7.ლევერკუზენი	15	7	4	5	22-21	25
8.ვოლფსბურგი	16	6	6	4	18-16	24
9.ჰოფენჰაიმი	16	7	3	6	23-27	24
10.აუგსბურგი	16	6	5	5	27-28	23
11.უნიონი	16	6	2	8	19-22	20
12.აინტრახტი	16	5	3	7	26-27	18
13.ჰერტა	16	5	3	8	22-29	18
14.მაინცი	16	6	0	10	25-38	18
15.კიოლნი	16	4	2	10	18-32	14
16.ვერდერი	16	3	5	8	23-40	14
17.ფორტუნა	16	3	3	10	16-35	12
18.პადერბორნი	16	2	3	11	18-35	9

ესპანეთი

21.12 მალიორკა-სევილია	4.90	3.80	1.70
21.12 ბარსელონა-ალავესი	1.15	8.00	17.50
21.12 ვილიარეალი-ხეტაფე	2.20	3.20	3.55
21.12 ვალიადოლიდი-ვალენსია	3.60	3.30	2.15
22.12 ლეგანესი-ესპანიოლი	2.10	3.10	4.05
22.12 ოსასუნა-სოსიედადი	2.85	3.25	2.55
22.12 ბეტისი-ატლეტიკო	3.85	3.30	2.05
22.12 ლევანტე-სელტა	2.60	3.50	2.65
22.12 რეალი-ბილბაო	1.35	5.00	8.00

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	17	11	3	3	43-20	36
2.რეალი	17	10	6	1	33-12	36
3.სევილია	17	9	4	4	21-17	31
4.ხეტაფე	17	8	6	3	26-16	30
5.ატლეტიკო	17	7	8	2	18-10	29
6.სოსიედადი	17	8	4	5	28-20	27
7.ბილბაო	17	7	6	4	19-12	27
8.ვალენსია	17	7	6	4	27-24	27
9.გრანადა	17	7	3	7	24-22	24
10.ოსასუნა	17	5	8	4	22-20	23
11.ლევანტე	17	7	2	8	22-26	23
12.ბეტისი	17	6	5	6	24-29	23
13.ვილიარეალი	17	6	4	7	30-25	22
14.ვალიადოლიდი	17	4	7	6	14-20	19
15.ალავესი	17	5	4	8	18-24	19
16.ეიბარი	17	4	4	9	15-28	16
17.მალიორკა	17	4	3	10	18-31	15
18.სელტა	17	3	5	9	14-25	14
19.ლეგანესი	17	2	4	11	12-28	10
20.ესპანიოლი	17	2	4	11	12-32	10

იტალია

21.12 უდინეზე-კალიარი	2.50	3.35	2.85
21.12 ინტერი-ჯენოა	1.35	4.95	8.50
21.12 ტორინო-სპალი	1.70	3.65	5.25
22.12 ატალანტა-მილანი	1.80	3.85	4.25
22.12 პარმა-ბრეშა	2.05	3.40	3.65
22.12 ლეჩე-ბოლონია	3.25	3.70	2.10
22.12 სასუოლო-ნაპოლი	4.60	4.25	1.65

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	17	13	3	1	31-17	42
2.ინტერი	16	12	3	1	32-14	39
3.ლაციო	16	11	3	2	38-16	36
4.რომა	16	9	5	2	29-16	32
5.კალიარი	16	8	5	3	32-21	29
6.ატალანტა	16	8	4	4	38-25	28
7.პარმა	16	7	3	6	23-19	24
8.ნაპოლი	16	5	6	5	25-21	21
9.ტორინო	16	6	3	7	21-24	21
10.მილანი	16	6	3	7	16-19	21
11.სასუოლო	16	5	4	7	28-27	19
12.ბოლონია	16	5	4	7	25-27	19
13.ვერონა	16	5	4	7	17-20	19
14.ფიორენტინა	16	4	5	7	20-24	17
15.ლეჩე	16	3	6	7	20-31	15
16.სამპდორია	17	4	3	10	14-27	15
17.უდინეზე	16	4	3	9	11-27	15
18.ბრეშა	16	4	1	11	13-28	13
19.ჯენოა	16	2	5	9	17-31	11
20.სპალი	16	2	3	13	10-25	9

საფრანგეთი

21.12 ნანტი-ანჟე	2.15	3.15	3.85
21.12 მარსელი-ნიმი	1.30	5.50	9.50
21.12 პსჟ-ამიენი	1.08	11.25	27.00
21.12 მონაკო-ლილი	2.10	3.55	3.40
21.12 ნიცა-ტულუზა	1.70	3.95	4.70
21.12 დიჟონი-მეცი	2.10	3.15	3.90
21.12 სტრასბური-სტ.ეტიენი	2.10	3.25	3.80
21.12 რენი-ბორდო	2.05	3.30	3.90
21.12 მონპელიე-ბრესტი	1.60	3.90	6.00
21.12 რეიმსი-ლიონი	2.85	3.05	2.70

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	17	14	0	3	39-9	42
2.მარსელი	19	11	5	3	27-15	36
3.ლილი	18	9	4	5	23-16	31
4.რენი	17	9	3	5	23-17	30
5.ნანტი	18	9	2	6	16-16	29
6.რეიმსი	17	7	6	4	15-9	27
7.ბორდო	18	7	5	6	28-21	26
8.ლიონი	18	7	4	7	28-17	25
9.მონაკო	17	7	4	6	26-25	25
10.ანჟე	18	7	4	7	20-23	25
11.სტ.ეტიენი	18	7	4	7	21-27	25
12.მონპელიე	18	6	6	6	22-19	24
13.სტრასბური	18	7	3	8	21-23	24
14.ნიცა	18	7	3	8	25-27	24
15.ბრესტი	18	5	7	6	21-20	22
16.დიჟონი	18	4	5	9	12-20	17
17.ამიენი	17	4	5	8	20-32	17
18.მეცი	18	3	7	8	15-26	16
19.ტულუზა	18	3	3	12	19-36	12
20.ნიმი	17	2	6	9	12-29	12

მოამზადა მისეილ ყორჟოლიანმა

ნიკა აგლაძის დასახმარებლად საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა გაიმართება

ინტელექტკლუბის გამორჩეული მოაზროვნის, ნიკა აგლაძის, დასახმარებლად მწერალთა სახლში აუქციონი და საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა გაიმართება.

ისტორიკოსსა და ლიტერატორს აღმოაჩნდა თავის ტვინის კავერნომა. ნიკას უკვე ჩაუტარდა ერთი ოპერაცია თურქეთში, რომელიც, სამწუხაროდ, წარუმატებელი აღმოჩნდა. ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულია და საჭიროებს ნეიროქირურგიულ ჩარევას.

ოპერაცია უახლოეს მომავალში გერმანიაში უნდა ჩატარდეს. მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროცესი ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

22 დეკემბერს მწერალთა სახლში გაიმართება აუქციონი და გამოფენა-გაყიდვა ნიკას მხარდასაჭერად, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, მხატვრები, გამომცემლები, რამდენიმე მუზეუმი, სტარტაპერი, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაცია.

მწერალთა სახლში საშუალება გექნებათ, შეიძინოთ თანამედროვე მხატვრების ნამუშევრები, ცნობილი ქართველი მწერლების მემორიალური ნივთები და ხელნაწერები, თანამედროვე ქართული და თარგმნილი ლიტერატურა, ხელნაკეთი ნივთები, ფოტოები, სუვენირები.

აუქციონსა და გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში შალვა ნუცუბიძის კაბინეტი გაიხსნება

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ცნობილი ქართველი მეცნიერის შალვა ნუცუბიძის კაბინეტი გაიხსნება.

ინფორმაცია ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ გაავრცელა:

– მორიგი შესანიშნავი ამბავი ეროვნული ბიბლიოთეკიდან: შალვა ნუცუბიძის შვილთან და, შესაბამისად, მემკვიდრესთან, თამარ ნუცუბიძესთან მოლაპარაკების შედეგად, მეცნიერის უმდიდრესი არქივი გადმოგვეცემა და მომავალ წელს სპეციალურ კაბინეტს გავხსნით.

ეს ფონდი, რომელიც 1918-21 წლებისა და შემდგომ უნიკალურ მასალებს მოიცავს, არაერთი კოლექციონერისა და ორგანიზაციის ოცნება იყო.

დიდი მადლობა ქალბატონ თამარს ამ გადაწყვეტილებისთვის და არა მარტო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქორწილში საქმროს გარეშე დარჩენილი ქალი საკუთარ თავზე გათხოვდა

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონის მცხოვრები ქალბატონი ქორწილის წინ საქმროს გარეშე დარჩა და საკუთარ თავს გაჰყვა ცოლად.

სანდრა ბლანკომ თანხმობა განაცხადა ცოლად გაჰყოლოდა თავის შეყვარებულს, რომელთანაც წლინახევრის ურთიერთობა აკავშირებდა. ექვს კვირაში ქალმა ქორწილის ამერიკის ნევადის შტატის ქალაქ ლას-ვეგასში ორგანიზება მოახერხა. თუმცა ქორწილამდე მცირე ხნით ადრე საქმრომ მას დაშორება შესთავაზა.

ვინაიდან ღონისძიებაში ფული უკვე გადახდილი იყო, ხოლო ორგანიზატორებმა მის დაბრუნებაზე უარი განაცხადეს, ბლანკომ გადაწყვიტა საკუთარ თავზე გათხოვილიყო. მან საქორწინო ფოტოსესია მოაწყო, ხოლო საქმროს ნაცვლად მოდელი, სახელად იენ სპაივი მიიწვია. ქალის თქმით, ლას-ვეგასში ყოფნამ მისი შეხედულებები ცხოვრებაზე შეცვალა. მან გაითავისა, რომ პირველ რიგში საკუთარი თავი უნდა გიყვარდეს, რათა ღირსეულ პარტნიორს შეხვდე.

– მე საშინელი რომანტიკოსი ვარ. ამიტომ ქორწილის დღეს მე მაინც წავედი სამლოცველოში, მარტო მივედი საკურთხეველთან და ელვის პრესლის კოსტიუმში გამოწყობილმა ღვთისმსახურმა გულის ამაჩუყებელი სიტყვა წარმოსთქვა, – გაიხსენა ბრიტანელმა. 30 წლის ბლანკომ საკურთხეველთან პირობა დადო, რომ საკუთარ თავს პატივისცემით მოეპყრობა და მასზე იზრუნებს.

აგრესიული თეთრი ზვიგენის სიკვდილი ვიდეოზე გადაიღეს

მექსიკის ქვემო კალიფორნიის შტატის კუნძულ გუადალუპეს სანაპირო წყლებში მყვინთავები დიდი თეთრი ზვიგენის სიკვდილის თვითმხილველები გახდნენ. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

თავდაპირველად ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელში მექსიკელი არტურო ისლას ალენდეს გვერდზე გამოჩნდა. კადრებში ჩანს, რომ აგრესიული დიდი მტაცებელი თევზი იმ გალიასთან მიცურდა, რომელშიც ოთხი მყვინთავი იმყოფება და შიგნით შეღწევისას ლითონის გისოსებში იჭედება. თავის დაღწევის მცდელობისას ის ლითონის ნამსხვრევზე წამოეგო.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ მალე მტაცებლის ლაყუჩებიდან სისხლდენა დაიწყო, შემდეგ კი მისი უსიცოცხლო სხეული ოკეანის ფსკერისკენ წავიდა. კომპანია ნაუტილიუსმა, რომლის მოწყობილიც იყო წყალქვეშ ჩაყვინთვა, განაცხადა, რომ დაღუპული მტაცებელი უკიდურესი აგრესიულობით გამოირჩეოდა და ტურისტებზე თავდასხმას ცდილობდა.

აღსანიშნავია, რომ ტურისტული კომპანია კანონის სრული დაცვით მოქმედებდა და წყალქვეშა ექსკურსიის გამართვის ნებართვა ჰქონდა მიღებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რვაფეხას და არწივის დაპირისპირება ვიდეოზე გადაიღეს

კანადის დასავლეთ სანაპიროზე ვიდეოზე გადაიღეს თეთრთავა არწივისა და ოკეანის რვაფეხას სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა.

საკალმახე მეურნეობის თანამშრომლები კუნძულ ვანკუვერის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში საკუთარ მცურავ სახლში ბრუნდებოდნენ, როდესაც წყლის დგაფუნი და უცნაური ხმები შემოესმათ. ერთ-ერთმა ფერმერმა ჯონ ილეტმა წყლის ზედაპირზე არწივი შენიშნა, რომლისთვისაც დიდ რვაფეხას საცეცები ჰქონდა შემოხვეული.

ფერმერები რამდენიმე წუთის მანძილზე თვალს ადევნებდნენ ორი არსების ორთაბრძოლას და მასში ჩარევას ვერ წყვეტდნენ. ხოლო როდესაც მიხვდნენ, რომ არწივი სადაცაა დაიხრჩობოდა, ფრინველის გადარჩენა მაინც სცადეს. მათ ერთმანეთს ჩაფრენილი ცხოველები კაუჭიანი ჯოხით ნავისკენ მიაცურეს, გემბანზე ამოიყვანეს და არწივი მარწუხებისგან გაათავისუფლეს. ამის შემდეგ თავდახსნილმა არწივმა ნაპირზე გააღწია. ფერმერებმა რვაფეხაც წყალში დააბრუნეს.

ილეტის თქმით, ოცი წლის მუშაობის მანძილზე რა აღარ უნახავს, მაგრამ რვაფეხას და არწივის ორთაბრძოლამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი ვარაუდით, მტაცებელ ფრინველს რვაფეხას დაჭერა უნდოდა, მაგრამ თავად მოექცა მის საცეცებში.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მარჯნის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 3. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 5. დადუღებული ყურძნის წვენი; 6. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 8. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. პროტესტის გამოხატვის დიპლომატიური მეთოდი; 12. გამომშრალი, გამხმარი ყურძენი; 14. მცენარის ფოთლებზე შეყინული ორთქლი; 15. ქართული ხალხური ცხენოსნური შეჯიბრი-თამაში; 16. ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“-ს პერსონაჟი;

თარაზულად: 1. საქართველოში გავრცელებული ძალზე მაგარ მერქნიანი, წითელ წიგნში შეტანილი ფოთლოვანი ხე; 4. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 7. კუთხე საქართველოში; 9. მხარე ავსტრიაში; 11. ქალაქ ოდესის ძველი სახელწოდება; 12. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 13. გვარის, თემის წინამძღოლი სვანეთში; 17. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 19. სასადილოების რიგი ძველ თბილისში; 20. ცნობილი არგენტინელი კალათბურთელი მამაკაცი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ნადური; 2. წაბლი; 3. არიანი; 4. შამოტი; 6. გულიაში; 9. ბლუზი; 11. კონფუცი; 15. ლითოსფერო; 16. ქენონი; 17. კულინანი; 19. ადიდასი; 21 მრწამსი; 22. დილეგი.

თარაზულად: 5. შენგელია; 7. უნიკუმი; 8. ამლახუ; 10. გლოსიტი; 12. ტვინი; 13. კლოპი; 14. ყიზილბაში; 18. კაფია; 20. ნეგუსი; 23. მინსკი; 24. წოტა; 25. ტანინი; 26. გორი; 27. ასესორი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლიდო; 2. ბრუკი; 3. ფიორდი; 5. ლარნი; 6. დაბახანა; 8. ტროპოსფერო; 10. ტიბალტი; 12. აირზენა; 14. უოლესი; 15. მარინა; 16. ფლეში.

თარაზულად: 1. ლარები; 4. ალტიტუდა; 7. აგუერო; 9. დასინი; 11. ბოკერია; 12. ავტობანი; 13. ბაწარა; 17. დროება; 18. პელე; 19. ინტელექტი; 20. გოზინაყი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8957

ევრო — 3.2186

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7772

100 რუსული რუბლი — 4.6496

ამინდის პროგნოზი 21 დეკემბერი



17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები

ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი

ლოტბარი ტარიელ მამალაძე გარდაიცვალა

ანსამბლ „ელესას“ დამაარსებელი, ლოტბარი ტარიელ მამალაძე გარდაიცვალა.

ინფორმაცია გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა:

– ამ დაძაბული დღეების ფონზე ერთი ძალიან დიდი ქართველის, ლოტბარ ტარიელ მამალაძის გარდაცვალების შესახებ გამომრჩა, რომ მეთქვა.

ბატონ ტარიელი დიდი ხნის წინ გავიცანი და ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ის გახლდათ ანსამბლ „ელესას“ დამაარსებელი და მთელი ცხოვრება ქედას მიუძღვნა. მას დიდი დამსახურება აქვს ჩვენი ქვეყნის და ქართული ხალხური სიმღერის წინაშე. ის რომ დღეს ქედას ჰყავს შესანიშნავი ფოლკლორული ანსამბლი, ბატონი ტარიელის უდიდესი დამსახურებაა. ვუსამძიმრებ ქედელებს, ანსამბლ ელესას, მის საყვარელ ოჯახს და მეგობრებს.

ანსამბლ „ელესას“ დღეს ხელმძღვანელობს ძალიან ნიჭიერი ლოტბარი, ჩემი მეგობარი ირაკლი სირაბიძე. მადლობა შენ, ჩემო მეგობარო, რომ ღირსეულად აგრძელებ ტარიელ მამალაძის განვლილ გზას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

21 დეკემბრისათვის

ვერძი – ცდუნების ალბათობა იზრდება. თავი შეიკავეთ საქმის გარჩევებისაგან. კრიტიკული დღეა. **კურო** – თქვენი ენერგიულობა გადამდებია. ასე განაგრძეთ, ოღონდ ეცადეთ, ზედმეტად არ დაიტვირთოთ. **ტყუპები** – მიენდეთ ინტუიციას. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **კირჩხიბი** – იღბლიანი დღეა. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც შეგიძლიათ. საღამოს დაისვენეთ და პირად ცხოვრებას მიხედეთ. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. მთავარია მოთმინება. **ქალწული** – გარშემომყოფებს სიყვარულით მოეპყარით. საპასუხოდ სიყვარულსა და თანადგომას მიიღებთ. **სასწორი** – კომერციული საქმიანობისგან თავი შეიკავეთ. დღეს არ ღირს ახალი საქმის დაწყება. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. დაკავდით სპორტით, მიიღეთ ახალი ინფორმაცია, გაიფართოვეთ თვალსაწიერი. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. ახალგაცნობილი ადამიანები საკმაოდ საინტერესო იდეებს გთავაზობენ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. საკუთარი პოზიციების დაცვა აუცილებელია. ნუ მოეშვებით. **მერწყული** – ფინანსური კრიზისი არ გემუქრებათ. თქვენი შემოსავალი მნიშვნელოვნად იზრდება. გელით სხვა სასიამოვნო სიახლეებიც. **თევზები** – თუ ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტეთ, არ გარისკოთ. უმჯობესია, ძველი საქმეები დაამთავროთ.

22 დეკემბრისათვის

ვერძი – თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სამუდამოდ დაივიწყეთ. **კური** – შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **ტყუპები** – დღის დევიზია შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. აპათია გიპყრობთ, ამიტომ მაქსიმალურად დაკავდით საქმით. **ქალწული** – შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად იზრდება. ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. სასიამოვნო ახალ ამბავს შეიტყობთ. **სასწორი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **ღრიანკალი** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მშვილდოსანი** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობაა საჭირო. **თხის რქა** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიმზადებთ. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **მერწყული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. მშვიდი დღეა. **თევზები** – კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქალი და მამაკაცი საუბრობენ. კაცი ქალს ეუბნება:

– სხვათა შორის, მე ფრინველების ექსპერტი ვარ.

– მართლა? მაგარია. და აბა იმათზე რას მეტყვით, ახლა ჩვენს თავს ზევით რომ დაფრინავენ?

– ყველა მათგანი ჩიტია.

•••

მამაკაცი მაღაზიის გამყიდველს ეუბნება:

– გუშინ ეს ყველი თქვენთან შევიძინე...

– და მერე, რაშია საქმე?

– თქვენ მითხარით, რომ შვეიცარიულიაო.

– დიახ, მასეა.

– მაშინ იქნებ მითხრათ, ის იქიდან იმპორტირებული თუ დეპორტირებულია?

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ყრუ, ბრმა ვიყავი და თავში ტვინი არ მქონდა, შენ, რომ ცოლად გამოგყევი.

– ხედავ, ამდენი ნაკლის მიუხედავად, ცოლად მაინც მოგიყვანე და შენ კი მადლობელიც არ ხარ!

•••

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, თქვენი აზრით, კიდევ 40 წელს ვიცოცხლებ?

– ჰოო. ეგ სხვადასხვა გარემოებებზეა დამოკიდებული. აი, მაგალითად, მეგობრებთან ერთად თუ ქეიფობთ?

– არა, არასოდეს.

– და მარტო თუ სვამთ?

– არა, ექიმო, რას ამბობთ.

– ეწევით?

– ცხოვრებაში ერთი ღერი სიგარეტიც კი არ მომიწევია.

– უკაცრავად და, ქალებში თუ დადიხართ?

– არა!

– მაშინ, რაღა ჩემფეხებად გინდა კიდევ 40 წელი სიცოცხლე?

•••

სახლში დაბრუნებულ მთვრალ ქმარს ცოლი უყვირის:

– ეგ ღვინო და არაყია შენი მტერი და მომსპობი...

– მერე რა გინდა, ქალო, გინდა, რომ მტერს შევუშინდე?

•••

ქმარი სახლში ელექტროგაყვანილობას აწესრიგებს და ცოლს ეუბნება:

– ერთი ის მავთული მომაწოდე, ძირს რომ აგდია.

ქალმა მიაწოდა.

– კაი დადევი, ე.ი. მაგაში დენი არ ყოფილა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გვარდიოლამ სიტის ულტიმატუმი წაუყენა

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ გუნდის ხელმძღვანელობას სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მან შესაძლოა სიტი დატოვოს.

გვარდიოლა მინიმუმ სამი ფეხბურთელის ყიდვას ითხოვს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ არიან ეს ფეხბურთელები.

წლევანდელ სეზონს სიტი არასტაბილურად ატარებს და ლივერპულს უკვე 14 ქულით ჩამორჩება. ინგლისურ მედიაში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გვარდიოლამ შესაძლოა სიტი დატოვოს.

ანჩელოტი ევერტონს სათავეში უახლოეს დღეებში ჩაუდგება

კარლო ანჩელოტი ევერტონთან მოლაპარაკებებს ასრულებს და უკვე შაბათს შესაძლოა მან კონტრაქტზე ხელი მოაწეროს.

ევერტონმა რამდენიმე დღის წინ მარკო სილვა ცუდი შედეგების გამო გაათავისუფლა და ამჟამად გუნდს დროებით დანკან ფერგიუსონი წვრთნის.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ანჩელოტი ევერტონთან 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს და მას მაღალი ანაზღაურება ექნება.

ევერტონი პრემიერლიგაში ამჟამად მე-16 ადგილზეა.

სოლსკიაერმა ერლინგ ჰოლანდზე ისაუბრა

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა ერლინგ ჰოლანდზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ისურვებდა ჰოლანდის საკუთარ გუნდში ხილვას, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტული არაფერია:

– ტყუილია, თითქოს ჰოლანდი მანჩესტერშია და კონტრაქტზე ხელის მოწერას აპირებს ჩვენთან. როგორც ვიცი, ის ამჟამად შვებულებაშია და ისვენებს. ნამდვილად მინდა, რომ ის ჩვენი ფეხბურთელი გახდეს, რადგან ჰოლანდი ძალიან ნიჭიერია.

ვან დეიკი საკლუბო ჩემპიონატის ფინალში ითამაშებს

ლივერპულის ცენტრალური მცველი და ერთ-ერთი ლიდერი ვირჯილ ვან დეიკი საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ითამაშებს. ვან დეიკს მცირე ტრავმა ჰქონდა, რომელიც მან უკვე მოიშუშა. ფინალში ლივერპული კოპა ლიბერტადორესის გამარჯვებულს, ფლამეგოს დაუპირისპირდება და შეხვედრა 21 დეკემბერს თბილისის დროით 21.30 საათზე დაიწყება. ეს ორი გუნდი ერთმანეთს პირველად არ ხვდება და წინა შეხვედრაში გამარჯვება ფლამენგომ იზეიმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სტრიპტიზიორმა ფულისთვის საყვარლის შვილი მოკლა

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ რურალ-რეტრიტის მკვიდრმა ქალბატონმა ფულისა და ნარკოტიკებისთვის თავისი საყვარლის შვილის სასტიკი მკვლელობა ჩაიდინა.

43 წლის როენა შერილ მილსი კლუბში სტრიპტიზიორად მუშაობდა და იქ სატვირთო მანქანის მძღოლი, სახელად ჯეიმსი, გაიცნო. ისინი მალე საყვარლები გახდნენ და მათი ურთიერთობა თითქმის ერთი წელი გრძელდებოდა.

ჯეიმსმა ქალს თავისი 29 წლის შვილი ბო უაიტი გააცნო, რომელიც ინვალიდი იყო და შემწეობას იღებდა. ის ფილმ „ვარსკვლავური ომებით“ იყო გატაცებული და მისი პერსონაჟების ფიგურებით თამაშობდა.

2018 წლის 1 აპრილს მილსი უაიტთან სექსით წამლის რეცეპტისა და ფულის სანაცვლოდ დაკავდა. შემდეგ კი ქალმა მას ჯერ სცემა, შემდეგ სამზარეულო დანით მოკლა და თავი მოაჭრა.

სასამართლოში მბრალდებელმა ჯორჯ საიტლერმა განაცხადა, რომ მილსი ნარკომანი იყო და ავადმყოფს საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდა.

მილსი მკვლელობას უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ უაიტი მამამისმა ეჭვიანობის გამო მოკლა. სასამართლომ ქალი წინასწარგანზრახვით მკვლელობაში დამნაშავედ ცნო. მას სამუდამო პატიმრობა ემუქრება ვადამდელი განთავისუფლების უფლების გარეშე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. კლიმატური კურორტი თბილისის მახლობლად; 2. იაპონური ავტომობილი; 3. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ტბა სამხრეთ საქართველოში; 6. ობობასნაირი შხამიანი ცხოველი; 9. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 11. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 15. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. ნახატის, არქიტექტურული პროექტის წინასწარი მონახაზი; 17. მოჭიქული და მოხატული თიხის ჭურჭელი; 19. ზღვის ცხოველების გაქვავებული ნარჩენებისგან დამზადებული სამკურნალო ნივთიერება; 21. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი კომპანია; 22. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო გაზიანი სასმელი.

თარაზულად: 5. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ფრინველის კვერცხების შემსწავლელი ორნიტოლოგიის ნაწილი; 8. გამოქვაბული ანუ ... ; 10. მოლაპარაკე ფრინველი; 12. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 13. იტალიური სამოდელო კომპანია; 14. კურკოვანი ნაყოფის მქონე, ზეთით მდიდარი, მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარე; 18. იორდანიის დედაქალაქი; 20. ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური ეგვიპტეში; 23. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 24. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 25. აეროპორტი პრაღაში; 26. გემის უკანა ნაწილი; 27. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა